საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 19 მარტი. 2019 წ. №55 (8721) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“

„ნატოს 70 წლისთავი და შეუცვლელი ალიანსი“

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ ოფიციალურად გაიხსნა. სწავლება საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა, თავდაცვის ძალების მეთაურის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ და ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC) მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალი ლადისლავ იუნგმა გახსნეს.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა, რომელიც 18-29 მარტის ჩათვლით „წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში“ (JTEC) გაიმართება და მასში 343 სამხედრო და სამოქალაქო პირი მიიღებს მონაწილეობას.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ პირველი ერთობლივი მრავალეროვნული ბრიგადის დონის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობს.

სწავლება მიზნად ისახავს საქართველოს, ალიანსის და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას. სწავლება ასევე გამოცდის ალიანსის Non Article 5 კრიზისებზე რეაგირების ყოვლისმომცველ მიდგომას. პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულნი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავებას.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ რიგით მეორე სწავლებაა, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ტარდება – პაკეტი საქართველოს 2014 წელს უელსში გამართულ ნატოს სამიტზე მიენიჭა. ნატო-საქართველოს პირველი ერთობლივი სწავლება 2016 წელს ჩატარდა.

პირველად ხდება ისტორიაში, როდესაც „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს საქართველოს თავდაცვის ძალები JTEC-თან ერთად ხელმძღვანელობს. ქართულ მხარეს სწავლების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში მენტორობას ნატოს ტრანსფორმაციის სარდლობა (ACT), ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლობა (LANDCOM) და გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრი (JFTC) გაუწევს.

წინა სწავლებისგან განსხვავებით, ღონისძიება გაფართოვდა, კერძოდ **წინა სწავლებაში 14 ქვეყანა მონაწილეობდა, ხოლო წლევანდელ წვრთნებში 24 ქვეყანა იღებს მონაწილეობას (ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, აშშ, აზერბაიჯანი, საქართველო, შვედეთი).**

სწავლებაში ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულები საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები - „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“ (ICRC), გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი (DPKO)და გაეროს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO, დამკვირვებელი).

ვანო ზარდიაშვილი:

შენს ხელებს ასდის ფულის სუნი და ეგ იცის სრულიად საქართველომ!

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხმაურიანი სხდომა – დაპირისპირება ვანო ზარდიაშილსა და ეკა ბესელიას შორის ურთიერთბრალდებებში გადაიზარდა. ზარდიაშილმა ბესელიას მიმართა და განაცხადა:

„მე პატიოსნებაზე როგორ უნდა მელაპარაკოს ვინმე? სრულიად საქართველომ იცის ამ დარბაზში მსხდომი ყველა ადამიანის როგორც პატიოსნება, ასევე ღირსება და პროფესიონალიზმი. შესაბამისად, ყველამ თავის პატიოსნებას მიხედოს. სასამართლოს ეფარება კორუფციის რისკის მქონე ადამიანები. შენს ხელებს ასდის ფულის სუნი და ეგ იცის სრულიად საქართველომ,“ – მიმართა ვანო ზარდიაშვილმა ბესელიას.

ბესელიას ფოფხაძეც მიაყოლა!

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა ვანო ზარდიაშვილმა ეკა ბესელიას და გედევან ფოფხაძეს პროფესიონალიზმი დაუწუნა და განაცხადა, რომ სასამართლოს კორუფციის მატარებელი ხალხი ეპარება. აღნიშნული განცხადება ზარდიაშვილმა დღეს იურიდიულ კომიტეტში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გამართული ხმაურიანი სხდომისას გააკეთა.

„6 წელი, რაც თქვენ ვერ გააკეთეთ, იმის გამოსწორებას ორი კვირის დანიშნულ თავმჯდომარეს როგორ სთხოვთ? ეს ყველაფერი ხომ ფარსია! მართალი, წესიერი, პატიოსანი, კომპეტენტური ვარ და თქვენს პატიოსნებას მიხედეთ. პატიოსნებაზე როგორ უნდა მელაპარაკოს ვინმე. სრულიად საქართველომ იცის ამ დარბაზში მყოფთა როგორც პატიოსნება, ასევე ღირსება. პირდაპირ ვამბობ, სასამართლოს ეპარება კორუფციის მატარებელი ხალხი“ – განაცხადა ზარდიაშვილმა.

ია ბრჭესინკი:

ნატოს ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა მიიღონ ნატოში

8

ხათუნა ლაგაზიძე:

აშშ-ს „ოცნების“ ჩამნაცვლებელი ძალა არ ეგულება!..

4

„კუკუშკა“ თუშეთამდე: ალვანიდან - ომალომდე!

9

2

„აფხაზი კოლაბორაციონისტის“ მძიმე ხვედრი: რატომ არ აღიქვამენ ადა მარშანიას სერიოზულად არც სოხუმში, არც მოსკოვში?!

მამუკა ბახტაძე: საქართველო ჯანდაცვის თვალსაზრისითაც უნდა იყოს რეგიონული ლიდერი

ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველო რეგიონში ეკონომიკურ ცენტრად იქცეს და ამ სტრატეგიის ფარგლებში ჯანდაცვის სერვისების მიწოდების თვალსაზრისითაც იყოს რეგიონული ლიდერი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსის“ ახალი კორპუსის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამ მიზნის მისაღწევად მსგავს პროექტებში კერძო სექტორის მიერ ინვესტიციების განხორციელება და სახელმწიფოს მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია.

„დღეს „ნიუ ჰოსპიტალსს“ შეემატა ახალი კორპუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება ჯანდაცვის ახალი მიმართულებები. უკვე წლებია, კლინიკა ზრუნავს ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო და მისასალმებელია ნებისმიერი აქტივობა, რომელიც უკავშირდება ჩვენი მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის უკეთესი სერვისების მიწოდებას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ჯანდაცვა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, შესაბამისად, სისტემის განვითარებისთვის ხელისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსის“ ახალი კორპუსის გახსნას პრემიერ-მინისტრი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან ერთად დაესწრო. მთავრობის მეთაურმა ახლად გახსნილი კორპუსი დაათვალიერა და სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია კლინიკის ხელმძღვანელობისგან მიიღო. კლინიკის ახალ შენობაში სხვადასხვა პროფილის სამედიცინო მიმართულებაა განთავსებული. ფუნქციონირებას იწყებს კარდიოქირურგიული განყოფილება, სრული პედიატრიული მომსახურების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი, განახლებული ორთოპედიატრავმატოლოგიის ცენტრი და გაფართოებული ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის დეპარტამენტი. აპრილიდან „ნიუ ჰოსპიტალსში“ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრის გახსნაც იგეგმება.

გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა!

„ნაციონალური მოძრაობა“ ემზადება ქვეყნის მმართველობის ასაღებად!

„ნაციონალური მოძრაობა“ ემზადება ფართო ოპოზიციურ გაერთიანებასთან ერთად ქვეყნის გადარჩენაზე პასუხისმგებლობის ასაღებად და ქვეყნის მმართველობის ასაღებად, — განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშილმა სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში.

„ეს პრინციპულად იქნება სხვანაირი მმართველობა. ეს იქნება მთლიანად ქართველი ხალხის მმართველობა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მოდით პირველად გამოვცადოთ ეს ტექნოლოგიები სწორედ ჩვენი შიდაპარტიული დემოკრატიის და მართვის თვალსაზრისით“, — განაცხადა სააკაშვილმა. სააკაშვილის თქმით, უახლოეს პერიოდში პარტიის საორგანიზაციო ბირთვი შექმნის აპლიკაციას და თითოეულ წევრს, თითოეულ აქტივისტს შეეძლება ყველა ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე ხმის მიცემა პირდაპირ ელექტრონულად და პირდაპირ ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კანდიდატების შერჩევაში.

მიშას გრიგოლი შეცვლის!

ჩემი არჩევა მოხდება თუ არა თავმჯდომარედ, ამას ყრილობა იტყვის, — გრიგოლ ვაშაძე საქართველოს მესამე პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება.

ვაშაძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ეს განცხადება არ ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი პარტიის დატოვებას აპირებს.

„ჩემი არჩევა მოხდება თუ არა თავმჯდომარედ, ამას ყრილობა იტყვის, რაც შეეხება ჩვენი ლიდერის განცხადებას, ნდობისთვის დიდი მადლობა. დანარჩენი ყველაფერი დელეგატების გადასაწყვეტია. ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, უკვე მომესმა, რომ მიხეილ სააკაშვილი პარტიიდან მიდის და მსგავსი სისულელეები, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის, მიხეილ სააკაშვილი ამ პარტიის დამფუძნებელია, ამ პარტიის ლიდერია და ყველა ის ცვლილება, რაც ამ პარტიაში ხორციელდება, მისი ინიციატივით ხდება. იმიტომ, რომ იმ მძიმე პოლიტიკურ პერიოდში, რომელშიც ახლა ჩვენ შევდივართ, პარტიას სჭირდება გაცილებით უფრო ეფექტური მართვის სისტემა და ეს პარტიის ლიდერმა შეიგრძნო ყველაზე სწრაფად“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მიხეილ სააკაშვილი მხარდამჭერებს პარტიის თავმჯდომარედ გრიგოლ ვაშაძის არჩევისკენ მოუწოდებს. ვიდეომიმართვაში, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა გუშინ დილით გაავრცელა, საუბარია პარტიაში ცვლილებების აუცილებლობაზე.

„აფხაზი კოლაბორაციონისტის“ მძიმე ხვედრი: რატომ არ აღიქვამენ ადა მარშანიას სერიოზულად არც სოხუმში, არც მოსკოვში?!

ადა მარშანიას ბოლოდროინდელმა განცხადებებმა აფხაზეთის ნაწილის ყურადღება მიიპყრო, თუმცა გამოხმაურებები უმთავრესად სარკასტულია.

საუბარია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი დეპუტატის მიერ გასულ კვირას ხმაურიანი საპარლამენტო განხილვისას გაკეთებულ განცხადებებზე, რომელშიც მარშანიამ ტრადიციულად, თავის აფხაზურ ფესვებს გაუსვა ხაზი და ასევე ტრადიციულად შეეცადა, საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და ქვეყნის გამთლიანება ურთიერთგამომრიცხავ მიზნებად წარმოეჩინა.

„მინდა, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ: სადღეისოდ აფხაზეთში 60 000 ქართველი, 70 000 აფხაზი და უკვე 80 000-ზე მეტი სომეხი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს; დღეს ბუნებრივი მოვლენაა სომხურ-აფხაზური და არა ტრადიციული — ქართულ-აფხაზური ოჯახები. ამ დარბაზში ყველამ იცით, რომ დერეფნებში და კულისებს მიღმა ლაპარაკობენ, „მოდით, გავუშვათ სოხუმი და ცხინვალი და ეს ბედნიერებას მოგვიტანს, რადგან ამის შემდეგ ნატოში შევალთო“...მე ადა მარშანია ვარ — აფხაზი, სოხუმში დაბადებული და გაზრდილი და ვგრძნობ, რომ ქართველებს ჩემი გაგონება არ გსურთ. თუ ჩემი გაგონება არ გსურთ — აფხაზის, რომელსაც მთელი გულით სურს საქართველოს გამთლიანება, მაშ როგორ იპოვით საერთო ენას იმ აფხაზებთან, რომელთაც საქართველოში დაბრუნება და ქვეყნის გაერთიანება არ სურთ?!“, — განაცხადა ადა მარშანიამ, რომელსაც მსგავსი შინაარსის განცხადება ადრეც არაერთხელ გაუკეთებია.

სარკაზმს, რომელიც მარშანიას განცხადებებმა აფხაზეთში გამოიწვია, ორი ძირითადი საფუძველი აქვს. მათგან პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ნაწილობრივ აფხაზური ფესვების მიუხედავად, ადა მარშანიას აფხაზეთში აფხაზად არ აღიქვამენ.

„ადა მარშანია აფხაზეთში დიდი ხანია, დაივიწყეს. ამასთან, აფხაზურ საზოგადოებაში სადღეისოდ სულ სხვა პრობლემებია აქტუალური — მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები, ნავთობმოპოვება, ანტიკორუფციული კანონმდებლობა...“, — ამბობს მარშანიას განცხადებების საპასუხოდ აფხაზი ჟურნალისტი და ანალიტიკოსი ნუგზარ აგრბა.

ისინი, ვისაც ადა მარშანია ჯერ კიდევ ახსოვს, ადასტურებენ, რომ მისი წინაპარი ბაბუის ხაზით აფხაზი თავადების — მარშანიების შთამომავალი იყო, თუმცა ოჯახის აფხაზური ნაწილის აფხაზურ თვითშეგნებაში ეჭვი დიდად ეპარებათ და ამის დასტურად რიგ ფაქტებს იხსენებენ.

„მახსოვს, ქართულ-აფხაზური ომის დაწყებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე ქალბატონი ადას მამა ლორიკ ბესარიონის ძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელიც თბილისიდან აფხაზეთში დაბრუნდა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატად იყრიდა კენჭს და სოხუმში ერთ-ერთ ინტერნაციონალურ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას ემოციურად თქვა: „როგორ გავყო ჩემი თავი ორად? — ჩემს წინაპრებს შორის აფხაზებიც არიან და ქართველებიცო“... და რამდენადაც მახსოვს, ცოლადაც ქართველი ჰყავდა (...). 1991 წელს ლორიკ მარშანია ოჩამჩირეში იყრიდა კენჭს — ქალაქში, სადაც ქართველებს აფხაზების წინაშე იმხანად დიდი ეთნოდემოგრაფიული უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ აფხაზებმა, რომელთაც ახსოვდათ, რომ 1978 წელს ლორიკ მარშანიამ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზური საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური მდივნის რანგში სახელი გაითქვა ე.წ. „130-ის აფხაზური წერილის“ ავტორების დევნით, ყველაფერი გააკეთეს, რომ იგი 1991 წლის აფხაზური პარლამენტის შემადგენლობაში არ აერჩიათ. შემდეგ იყო ომი და ლორიკ მარშანიას როლი ამ ომში ყველასთვის არის ცნობილი. 2010 წელს მამის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ აფხაზური კოლაბორაციონიზმის დროშა მისმა ქალიშვილმა ადამ გადაიბარა, თუმცა, უკვე მრავალი წელია, მის ირგვლივ ამ საქმეში არც ერთი თანამოაზრე არ შეიმჩნევა“, — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით „რადიო თავისუფლების“ ადგილობრივი მიმომხილველი ვიტალი შარია.

რუსი პოლიტოლოგი ვლადიმირ ნოვიკოვი ადა მარშანიას განცხადებებს იმის მორიგ გამოვლინებად მიიჩნევს, რომ მარშანიების ოჯახი უკვე მეორე თაობაა, პოლიტიკაში გარკვეული როლის შესრულებას ცდილობს, თუმცა, ეს არ გამოსდის, ვინაიდან არც რესურსი აქვს, არც პრობლემის აღქმა:

ქალბატონი ადას მამა ლორიკ მარშანია ცდილობდა, აფხაზეთში პროქართული ძალების ლიდერად ჩამოყალიბებულიყო, თანაც იმ ძალებისა, რომლებიც აფხაზებით იყვნენ დაკომპლექტებულები, თუმცა, აფხაზურ საზოგადოებაში ვერანაირი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ახლა მისი ქალიშვილი ცდილობს პოლიტიკაში გარკვეული როლის შესრულებას და პრეტენზია აქვს გარკვეულ როლზე არა მარტო ქართულ-აფხაზურ, არამედ ქართულ-რუსულ ურთიერთობებშიც“.

მისივე შეფასებით, თუ ადა მარშანიას ნათქვამიდან „სომხურფობიურ კომპონენტს გამოვრიცხავთ, რომლითაც მან დიდი ხანია, გაითქვა სახელი“, ქალბატონი ადა გვთავაზობს ერთგვარ ფორმულას: საქართველო უარს ამბობს ევროატლანტიკურ სოლიდარობაზე, თანხმდება ერთგვარ სამმხრივ ფორმატს რუსეთი-საქართველო-ნატო, სანაცვლოდ კი მოსკოვისგან აფხაზეთს იღებს.

„მსგავსი იდეების ლობირებას იგი ჯერ კიდევ 2017 წლის ზაფხულში, მოსკოვში ვიზიტის დროს ცდილობდა, თუმცა სრულიად ნათელია, რომ მსგავსი იდეების არც ლობირების და მით უფრო არც რეალიზებისთვის რესურსი არ გააჩნია: უპირველესად, მას არ აქვს გავლენიანი მხარდაჭერა ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და საზოგადოებაში და არც აფხაზურ საზოგადოებაში გააჩნია რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კავშირები. შესაბამისად, არ უნდა მივანიჭოთ ზედმეტი მნიშვნელობა არც მის მოსკოვში ვიზიტებს: რაც არ უნდა იყოს, რუსული პოლიტიკური ელიტა დიდწილად საკმაოდ საღად მოაზროვნე ადამიანებით არის დაკომპლექტებული და მისი ერთიანი პოზიცია არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფო სათათბიროს ცალკეული დეპუტატების სურვილთან, ქალბატონი მარშანია მოსკოვში იხილონ“.

ქართველ ანალიტიკოს ზურაბ ბატიაშვილის დაკვირვებით კი, „პატრიოტთა ალიანსის“ რიტორიკა კრემლის ნარატივს იმეორებს.

„არავისთვისაა დასამალი, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ არის კრემლის პირდაპირი საყრდენი საქართველოში. ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური თემა, რასაც ისინი აჟღერებენ, პირდაპირ თანხვედრაშია კრემლის რიტორიკასთან. რა თქმა უნდა, არავინ არაფერს დაგვიბრუნებს, თუ ნატოზე უარი ვთქვით. პირიქით, რაც შეგვრჩა, იმასაც წაგვართმევენ, თუ მათ დაკრულზე გავაგრძელეთ ცეკვა“, — განუცხადა „აქცენტს“ ბატიაშვილმა.

ᲓᲐᲑᲐ ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ

„ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ბახმაროს მოსახლეობაც ისარგებლებს, – გადაწყვეტილება ბახმაროსთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შესახებ მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მე-10 სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.



საბჭომ ასევე მოისმინა ანგარიში 2018 წელს მოსახლეობის მიერ კანონის ფარგლებში მიღებული სოციალური შეღავათების შესახებ, რომელიც ვიცეპრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა წარადგინა.

კანონით გათვალისწინებული შეღავათებით 2018 წლის განმავლობაში ჯამში გაიცა 69 მილიონამდე ლარი მათ შორის, საპენსიო ასაკს მიღწეულ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებზე; სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიანი დასახლების მცხოვრებლებზე; მაღალმთიან დასახლებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე; ყოველთვიური ფულადი დახმარების სახით „მთის კანონის“ ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების პედაგოგებზე; მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებსა და სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელებზე. გარდა ამისა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა 11 923-მა ოჯახმა მიიღო გაზრდილი ოდენობის საშუშე მერქანი, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე 84 000-ზე მეტ აბონენტს კი მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50% აუნაზღაურდა.

საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს განსაზღვრული თანხების განაწილების პროექტი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას და საქართველოს მოქალაქეებისთვის თანასწორი შესაძლებლობების გაჩენას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.

ამასთან, მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს შეემატა ორი ახალი წევრი – მესტიის მუნიციპალიტეტის მერი კახა ჟორჟოლიანი და აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, რომელიც საბჭოს მუშაობაში ექსპერტის სტატუსით ჩაერთვება.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს სოფლის განვითარების მხარდაჭერას საქართველოში. 19 მარტს, ევროკავშირი, მის პარტნიორ ორგანიზაცია CENN-თან ერთად, ახალ პროექტს „ეს წალკაა“ ოფიციალურად გახსნის. ღონისძიება გაიმართება წალკის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, 14:00-დან 17:00 საათამდე.

შეხვედრას ოფიციალურად გახსნიან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი ნანა ჯანაშია და ქალაქ წალკის მერი ილია საბაძე.

პროექტის მიზანია ცოდნაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ბიზნესკავშირების დამყარებითა და სამუშაო ადგილების შექმნის გზით, საოჯახო მეურნეობების გაძლიერება, მეწარმეების საქმიანობის ხელშეწყობა, ქალებისა და ახალგაზრდების დასაქმება და მუნიციპალიტეტის სხვა ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროექტის ფარგლებში, თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით შეიქმნება და გაძლიერდება წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG). შემუშავდება გენდერულად თანასწორი და ახალგაზრდებზე მორგებული წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც მოხდება ადგილობრივი პროექტების დაფინანსება. დამატებით, პროექტი იმუშავებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გამოსწორებაზე მოწყვლადი ჯგუფების, ქალებისა და ახალგაზრდების საქმიანობის გაძლიერების გზით. წალკა ქვემო ქართლში მდებარე მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტია. ის მოიცავს 30 თემს, 43 სოფელსა და დაბა წალკას. მაღალმთიანი წალკის მუნიციპალიტეტის ფართობი 105,430 ჰექტარია – ვულკანური ქანებით აგებული რელიეფი, ძირითადად დაფარულია ვაკე მდელოებით. მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური აქტივობა სოფლის მეურნეობაა. უნიკალური ბუნებრივი რესურსებითა და მოსახლეობის მრავალფეროვნებით გამორჩეული ეს მხარე არის შთაგონების წყარო მოგზაურობისათვის და უჩვეულო გარემო მუშაობისათვის.



ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ!

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ მოსახლეობა ხუდონჰესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს მორიგ ფარსად მოიხსენიებს. ხაიშის თემის სახელით ვიდეომიმართვა თემის ერთ-ერთმა წევრმა ჩაწერა. ზურაბ ნიჟარაძის თქმით, ტყუილია, თითქოს ხაიშში ჩასული მუშა ჯგუფის მიზანი ალტერნატიული ვარიანტების მოძიება იყო.

ადგილობრივები ხელისუფლებას სამ მოთხოვნას უყენებენ - კანონის ძალით სამუდამოდ დასრულდეს ხუდონჰესის პროექტი; გაკეთდეს დეტალური ანალიზი იმ ყველა ჰესის შესახებ, რომლის მშენებლობაც იგეგმება და ასევე „ტრანს-ელექტრიკაჯორჯიასთვის“ 8 წლის წინ მათი მტკიცებით უკანონოდ გადაცემული მიწები ხაიშის თემს დაუბრუნდეს. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სვანეთის მოსახლეობა ამბობს, რომ აქციები გაგრძელდება.

ᲢᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲨᲞᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ“ შიდა ქართლში, ტაშისკარის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. მიმდინარეობს სათავე ნაგებობისა და წყალგამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია.

პროექტით გათვალისწინებულია არსებული წყალმიმღები კვანძის, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მათი მექანიკური აღჭურვილობის სრულად აღდგენა: გალერეის სარეგულაციო კვანძის, სარქვლიანი ფარებისა და ამწე მექანიზმების რემონტი.

აღდგენითი სამუშაოები უტარდება ასევე, გამანაწილებელი არხის 5კმ სიგრძის მონაკვეთს, რომლის ძირი მონოლითური ბეტონით, ხოლო ფერდები რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთდება. დაგეგმილია წყალგამშვები კვანძების და საექსპლუატაციო გზის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სარწყავი წყლის მიწოდება 380 ჰექტარ მიწის ფართობზე გაუმჯობესდება და შეუფერხებლად მოირწყვება ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების – ბებნისის და ურბნისის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია ადგილზე გაეცნო. საქართველოს მელიორაცია შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 7, ხოლო საქართველოს მასშტაბით 30 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲑᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 20-23 მარტს ბელარუსული მწარმოებლების გამოფენა „წარმოებულია ბელარუსში“ (Made in Belarus) გაიმართება, რომლის ფარგლებში ქართველ მომხმარებლებს ექნებათ შესაძლებლობა, უკვე კარგად ნაცნობ და საყვარელ ბრენდებთან ერთად ახლებსაც გაეცნონ. გამოფენაზე რამდენიმე ასეული ბრენდის პროდუქცია იქნება წარმოდგენილი.

ბელარუსებს უყვართ საქართველოში ჩამოსვლა – ბათუმში, ზღვაზე დასვენება და მზიან კახეთში სტუმრობა. ამაზე ბოლარუსიდან მზარდი ტურისტული ნაკადიც მეტყველებს. ყველაფერთან ერთად, ბელარუს ბიზნესმენებსაც არანაკლებ მოსწონთ ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობა: საგრძნობლად იზრდება ორმხრივი ტვირთბრუნვა, პროდუქციის სპექტრი ფართოვდება და თბილისსა და მინსკში ეროვნული პროდუქციის მაღაზიები იხსნება, მასშტაბური ბელარუსული გამოფენები კი საქართველოს დედაქალაქში ყოველწლიურად იმართება.

თავად განსაჯეთ: 2016 წელს თბილისში ხმაურით ჩატარდა ბელარუსის ეროვნული გამოფენა, 2017 და 2018 წლებში ბელარუსის ექსპოზიციები ყველაზე ფართოდ იყო Agro Food-ის გამოფენაზე წარმოდგენილი, 2019 წლის მარტში კი ბელარუსები კვლავ წარმოადგენენ მასშტაბურ გამოფენას „Made in Belarus“, რომელში ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს 150-მდე კომპანიის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას, ასევე საქმიანი და კულტურული ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებები გაიმართება. ტრადიციულად გამოფენას ორგანიზებას ორივე ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატები და საელჩოები გაუწევენ.

დაგეგმილია, რომ ბელარუსული დელეგაცია 150-ზე მეტ ბელარუსულ მწარმოებელს, სამინისტროებისა და სხვა დარგობრივ გაერთიანებებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბელარუსული კომპანია ქართულ ბაზარზე უკვე ოპერირებს, ნაწილი კი თბილისში ჩამოსვლას და სანდო, საქმიანი პარტნიორების მოძიებას გეგმავს.

ხათუნა ლაგაზიძე:

აშშ-ს „ოცნების“ ჩამნაცვლებელი ძალა არ ეგულება!..

ამერიკისთვის დღეს მთავარია ურთულეს რეგიონში საქართველოს ხელისუფლება ეგულებოდეს სტაბილურ პარტნიორად და დასაყრდენად. რამდენად მოახერხებს საქართველოს ხელისუფლება ამას, იმდენად სტაბილური იქნება მისი პოლიტიკური მომავალიც. მეორე მხრივ, ამერიკის ხელისუფლების საზომია საქართველოს ხელისუფლების მიმართ საზოგადოების განწყობა: ძალიანაც ეძვირფასებოდათ „ნაციონალები“ საქართველოს სათავეში, მაგრამ, როგორც კი დაინახეს 2012 წელს, რომ ისინი შეუთავსებლები გახდნენ საზოგადოების განწყობებთან, მიიღეს გადაწყვეტილება მათი ჩანაცვლების შესახებ.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის თქმით, შეიძლება ხელისუფლებას გაუჩნდა განცდა, რომ მისი, ანუ დღევანდელი ხელისუფლების წონა და როლი უფერულდება აშშ-ის თვალში, აქედან გამომდინარე შედეგებით. თუმცა, ამ ეტაპზე აშშ-ს „ოცნების“ ჩამნაცვლებელი ძალა საქართველოში არ ეგულება. უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანაში კი ხელისუფლების შეცვლის რევოლუციურ მეთოდებს ამერიკა არ მიესალმება. და, სანამ ასეთი ძალა არ გამოჩნდება, ამერიკა ბოლომდე ეცდება, არსებულ ხელისუფლებასთან გამონახოს საერთო ენა.

ხათუნა ლაგაზიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

— ბიძინა ივანიშვილის შემდეგ, პოლიტიკურ ველზე ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ მოსვლა, შეიძლება, შეფასდეს როგორც ე.წ. ძველ გვარდიაზე გათვლა 2020 წლის არჩევნებისთვის? რა მიზანი აქვს ღარიბაშვილის შემოყვანას პოლიტიკაში?

— რამდენიმე მიზეზზე უნდა ვისაუბროთ. პირველ რიგში, ეს არის მესიჯი ძველი გვარდიისთვის, რომელსაც ივანიშვილმა პრეზიდენტის არჩევის პირველი ტურის შემდეგ დახმარებისთვის უხმო. როგორც კი დამთავრდა არჩევნები, თქვა: თქვენ შემხვედრი ნაბიჯი გადადგით და ახლა ჩვენი დრო არისო. ღარიბაშვილის დაბრუნება არის მესიჯი პირველი ტურის წინ გაცემული დაპირების, რომ სწორედ ის ადამიანი ბრუნდება თქვენთან კოორდინაციის მიზნით, რომელიც იდგა „ქართული ოცნების“ სათავეებთან.

მეორეც, ეს არის ერთგვარი კომპენსაცია უშუალოდ პარტიაში იმისა, რომ პირველი თაობის „მეოცნებეებმა“ დატოვეს უმრავლესობა, რომლებიც, როგორც ღარიბაშვილი, კონსერვატიულ ამომრჩეველზე ორიენტირებული პოლიტიკოსები არიან. არ დაგვავიწყდეს ნუკრი ქანთარია, რომელიც პირველი თაობის „მეოცნებეა“ და გაჭრილად ამბობდა, რომ თუ ღირებულებითი აცდენა იქნება, დავტოვებ უმრავლესობასო.

— ამ ადამიანების შესაკავებლად დაბრუნდა ღარიბაშვილი?

— ერთი მხრივ, მან უნდა შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც კონსერვატიული პოლიტიკოსების წასვლით გაჩნდა და, მეორე მხრივ, ეს არის პარტიის დაშლის შეკავებისთვის გადადგმული ნაბიჯი. გარდა ამისა, თუ კონსერვატიული პოლიტიკოსები წავიდოდნენ პარტიიდან, კონსერვატიულ ამომრჩეველს დაკარგავდა „ოცნება“. ასევე, ბესელიასთან ერთად გასული ადამიანები თუკი დაიპირებენ პილიტიკურ აქტივობას, ასეთ შემთხვევაში, მათაც გაყვეს ამომრჩეველი. მიზანი ეს არის — კონსერვატიული ამომრჩეველი მთლიანად არ ჩაახუტონ „ოცნებიდან“ გასულ დეპუტატებს.

— არსებობს ინფორმაცია, რომ არსებულ გუნდს შლის ივანიშვილი და ახალი გუნდით წარდგება 2020 წლის არჩევნებზე. თუკი მიმდინარე პროცესებს გადავხედავთ, პროცესები სწორედ ამ მიმართულებით მიდის, ახალი სახეების მოზიდვაზე დაიწყო პარტიამ მუშაობა, მაგრამ ამის რესურსი რამდენად აქვს „ქართულ ოცნებას“?

— ესეც არის ღარიბაშვილის დაბრუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. დაპირებებს შორის, რომელიც ივანიშვილმა პირველი და მეორე ტურის შუალედში გააკეთა, მთავარი იყო სწორედ ის, რომ ახალ სახეებს შემოიყვანდა და პარტიის განახლება დაიწყებოდა. რის იმედზე უნდა დაეწყო განახლება, ისევ ძველი სახეების და ძველი საკადრო რესურსის? — თავისთავად ისმის ეს კითხვა. მას აუცილებლად სჭირდებოდა ალტერნატიული გუნდი პარტიაში, რომელზეც ააგებდა ახალ საკადრო რესურსს. პარტია დღევანდელი სახით დაკომპლექტებულია ნაწილობრივ კვირიკაშვილის, დიდწილად კობახიძის და თავისთავად კალაძის მიერ. ამ ადამიანების ჩანაცვლებაზე რომ მიდგებოდა საქმე, რა თქმა უნდა, მათ პარტიაში სჭირდებოდათ სხვა ღერძული ფიგურა. თავისი გადმოსახედიდან, ასეთი ღერძული ფიგურა ღარიბაშვილის სახით დააბრუნა.

— მაგრამ არის კი ღარიბაშვილი ღერძული ფიგურა და როცა ვსაუბრობთ ალტერნატივაზე, როგორ ფიქრობთ, არჩევის პრინციპი რა იყო? როგორ წავიდა ღარიბაშვილი, ეს ისტორია რომ გავიხსენოთ, არ ტოვებს ღერძული ფიგურის შთაბეჭდილებას. ივანიშვილის ცნობილი განცხადებაა, რომ ღარიბაშვილის ყველაზე დიდი მინუსი მისი ნათესავები არიან...

— მოდით, ასე ვთქვათ — ერთი კრიტერიუმით არ შეურჩევია ღარიბაშვილი. თან, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ მას ექსპერიმენტების დრო არ აქვს, თუ ახალ ღერძულ, საკვანძო ფიგურას შემოიყვანდა პარტიაში რეორგანიზაციისთვის, მას რომ არ გაემართლებინა, 2020-ისთვის ფაქტობრივად დრო აღარ რჩებოდა. პროცესები ისედაც მწვავე ფაზაშია შესული, არჩევნების წინა პერიოდია და მძიმე საინფორმაციო სივრცეში უწევს საქმიანობა ხელისუფლებას. ამიტომ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ექსპერიმეტების დრო ახალი ღერძული ფიგურის შესარჩევად არ აქვს და ასევე, როგორც ჩანს, მიიღო გარკვეული გარანტიები ღარიბაშვილისგან, რომელმაც თავის სატელევიზიო ინტერვიუში თქვა, რომ შეცდომები, რომელიც მისი პრემიერობის თანმდევი იყო, დაშვებული აღარ იქნება.

— რამდენად ეფექტური იქნება ღარიბაშვილის დაბრუნება?

— ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული და არა მარტო მის პერსონაზე. კერძოდ, დამოკიდებულია იმაზე, რა პრინციპით შეარჩევენ კადრებს. თუ უნდათ შეარჩიონ რეფორმატორები, ეს სხვა მიდგომაა და სრულიად გამართლებული. თუ უნდათ შეარჩიონ რუპორები, რომლებსაც დაეკისრებათ „ქართული ოცნების“ ლიდერშიპში მიღებული გადაწყვეტილების და მათ შორის არაეფექტური გადაწყვეტილებების რუპორობა, ეს ადამიანები ძალიან მალე დაკარგავენ სიახლის და უბიწოების ხიბლს. ამ გზით ერთი კობახიძის მაგივრად, რომლის მიმართ ძალიან დიდი აგრესიაა საზოგადოებაში დაგროვილი, მიიღებენ ათ კობახიძეს, ასევე ათმაგად გაზრდილი შემხვედრი აგრესიით საზოგადოების მხრიდან. თუ კადრების არჩევა არასწორ პრინციპს დაეფუძნა, თავისთავად „ოცნება“ მიიღებს დამატებით პრობლემებს და ასეთი არასწორი პოლიტიკის პირობებში ღარიბაშვილი ვერაფერს შეძლებს.

— პოლიტიკური ფონი ნამდვილად მძიმეა. მმართველ გუნდში მიმდინარე დაპირისპირება დამთავრდა იმით, რომ „ოცნებამ“ დაკარგა საკონსტიტუციო უმრავლესობა, პარლამენტის პარალელურად დაპირისპირება მწვავდება აღამასრულებელ ხელისულებაში, ამას ემატება მამუკა ხაზარაძის საქმე. ფაქტია, რომ ძალიან მძიმე პოლიტიკურ ფონზე შემოვიდა ღარიბაშვილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკა 2003 წლის მოვლენებს უახლოვდება?

— გაცილებით ფართოა პრობლემების სპექტრი, რომლის წინაშეც „ქართული ოცნება“ დგას, დაწყებული იგივე საინფორმაციო ველით, რომელიც ძალიან კრიტიკულია „ოცნების“ მიმართ და რომლის შემოტრიალებასაც სათავისოდ „ოცნება“ ვერ ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ცოტა ჰყავს მხარდამჭერი მედიასაშუალებები, მაინც ვერ ახერხებს კვალიფიციურად საკუთარ პიარს კრიტიკული განწყობის დასაბალანსებად. ეს ხელისუფლების ბრალია, შეცდომებს შეცდომებზე უშვებს და, მეორე მხრივ, თავად არასათანადო პიარკამპანია აქვს — რასაც კარგს აკეთებს, იმის სათანადოდ წარმოჩენასაც ვერ ახერხებს.

ოპოზიციის გაერთიანების მცდელობები ისეთი თემის გარშემო, როგორიც არის პროპორციული არჩევნები; ბოლო პერიოდის ორი ძალიან გახმაურებული და სკანდალად ქცეული საქმე, როგორიც არის ხაზარაძის საქმე და მოსამართლეების საქმე, ეს ყველაფერი გროვდება და ამავე დროს, საკმარისზე მეტად მძაფრია დასავლეთის განწყობა.

ძალიან ნიშანდობლივია უკრაინაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენლის კურტ ვოლკერის დახურული შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან. მედიამ ვოლკერი მოიხსენია როგორც ამერიკის წარმოგზავნილი ივანიშვილთან. რა მესიჯით ჩამოვიდა, რა შეიტანა ივანიშვილთან შეხვედრაზე და რა გამოიტანა იქიდან, ეს ძალიან ბევრი რამის გადამწყვეტი იქნება და არა მარტო „თიბისი ბანკის“ და ანაკლიის პორტის თემის გარშემო.

— თქვენ მაღალი ალბათობით უშვებდით იმას, რომ დასავლეთი ახალ ბეიკერის ფორმულას შესთავაზებს საქართველოს ხელისუფლებას. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ამ დახურულ შეხვედრაზე საუბარი იყო ახალ ბეიკერის ფორმულაზე, რომელიც შესთავაზა ამერიკამ ივანიშვილს?

— ძალიან საინტერესო რაკურსით დაინახეთ ეს ვიზიტი. შეხვედრიდან გამოსული კურტ ვოლკერის ინტერვიუებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ინტერესების სფეროში შედიოდა „თიბისი ბანკი“ და ანაკლიის პორტი, სხვა საკითხებთან ერთად.

— თავის ინტერვიუში კურტ ვოლკერმა იმედი გამოთქვა, რომ ანაკლიის პორტის პროექტი განვითარების გზას დაადგება და, რომ ეს ყველა მხარეს სურს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილ-ვოლკერის შეხვედრის მიზანი სწორედ ანაკლიის პორტის გარშემო განვითარებული პროცესები იყო?

— როგორც საქართველოსთვის, ასევე ამერიკისთვის ანაკლიის პორტი არის სტრატეგიული მნიშვნელობის გრძელვადიანი პროექტი, ყველაზე დიდი პროექტი, რომელსაც აშშ დღეს საქართველოში ახორციელებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ვოლკერის ვიზიტს წინ უსწრებდა რამდენიმე დღის წინ ნატოს ამერიკელი ადმირალის განცხადება, რომელმაც პირდაპირ დაუჭირა მხარი ანაკლიის პორტს. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ამ პორტს საქართველოსთვის და ამერიკისთვის აქვს თანხვედრი სტრატეგიული მნიშვნელობა.

ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის ლაზიკის შემდეგ, ანაკლიის პორტის თემის რეანიმირება-აღორძინება, სწორედ დღევანდელი ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის გარეშე ვერ მოხდებოდა.

— ვთანხმდებით, რომ ამერიკისთვის ანაკლიის პორტის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი. როგორ ფიქრობთ, პორტის უსაფრთხოების სანაცვლოდ ვოლკერმა რა გარანტიები მისცა ბიძინა ივანიშვილს და რამდენად უკავშირდება ეს გარანტიები 2020 წელს, კერძოდ, დასავლეთი არ მოითხოვს 2020 წელს პროპორციული არჩევნების ჩატარებას?

— ამაზე ინფორმაციის გარეშე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ, როგორც წესი, გარიგებას მინიმუმ ორი მონაწილე მხარე ჰყავს — ამერიკა რაღაცას მოითხოვდა და სანაცვლოდ რაღაცას შესთავაზებდა. რა სჭირდება დღეს საქართველოს ხელისუფლებას: პირველ რიგში, ის, რომ დასავლეთი „არ მიაწვეს“ 2020-ში არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებაზე, ან სულაც ის, რომ აშშ წინააღმდეგი არ იყოს, „ოცნება“ 2020 წელსაც ხელისუფლებაში იხილოს, თუნდაც კოალიციის ფორმატით. თუმცა, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, „ოცნებისთვის“ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მხოლოდ აშშ-ის კეთილგანწყობა საკმარისი არ არის, მათ უნდა დაინახონ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის „ოცნების“ სათავეში ყოფნა რევოლუციური ძვრების გამომწვევი არ არის.

— ფიქრობთ, რომ აშშ მზად იქნება 2020 წელს პარტნიორად გაიხადოს კვლავ საქართველოს არსებული ხელისუფლება? ბოლო პერიოდში ძალიან კრიტიკულია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები...

— ეს მალე გამოჩნდება, მთავარი კითხვა, რაც დღეს ისმის, არის — შეძლებს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება მიიღოს იმის გარანტია, რომ აშშ მაინცდამაინც არ დაიჟინებს, რომ „ოცნებაც“, როგორც ყველა მისი წინამორბედი, საქართველოს ხელისუფლებიდან მაინცდამაინც ორი ვადის შემდეგ უნდა წავიდეს. ვფიქრობ, ის სიმშვიდის გარანტიები, რაც დღევანდელ ხელისუფლებას სჭირდება, სწორედ მის რაციონალურ ქმედებებზეა დამოკიდებული, რამაც ამერიკას უნდა განუმტკიცოს განცდა, რომ ის სტაბილური პარტნიორია და, რაც მთავარია, მისაღები ქვეყნის შიგნით ამომრჩევლისთვის. მესმის, რომ ეს რთულია რუსეთიდან ზეწოლის ახალი ტალღის ფონზე, გაცილებით იოლია ჩვენი მხრიდან მოწოდებები და ლოზუნგები ვესროლოთ ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლებასაც და ჩვენც უნდა გვახსოვდეს და იმედია, გვახსოვს, რომ უკან საქართველოა! და, როცა საქმე რუსეთიდან ზეწოლას ეხება, ამ საკითხში ყველა სოლიდარულები ვართ ხელისუფლების. საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთად უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან, ნაკლები დანაკარგებით და მეტი მოგებით.

— შეიძლება, სულაც ულტიმატუმის ენაზე იყო საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტის წარმოგზავნილის მიერ?

— ნაკლებად მგონია, იმიტომ, რომ სხვა თუ არაფერი, ამ ეტაპზე აშშ-ს „ოცნების“ ჩამნაცვლებელი ძალა საქართველოში არ ეგულება. ამ მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანაში კი ხელისუფლების შეცვლის რევოლუციურ მეთოდებს ამერიკა არ მიესალმება. და სანამ ასეთი ძალა არ გამოჩნდება, ამერიკა ბოლომდე ეცდება არსებულ ხელისუფლებასთან გამონახოს საერთო ენა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

სათნოების, სიყვარულისა და სიმართლის მაგალითი

ნანული შევარდნაძის გახსენება

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავის მრავალრიცხოვან წევრებთან და მეგობრებთან ერთად ღრმა გულისტკივილით და ამავე დროს სიამაყით იხსენებენ ასოციაციის დამფუძნებელს, სოცოცხლის ბოლომდე მის პრეზიდენტს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ და გამორჩეულ ქართველ ქალბატონს ნანული შევარდნაძეს, რომელსაც ა.წ. 7 მარტს 90 წელი შეუსრულდებოდა. მძიმე გასახსენებელია ის, რომ 14 წელია, რაც იგი ზეციურ სამკვიდროშია. თუმცა სიტყვა „ვიხსენებთ“ აქ შეუთავსებელია, რადგან მისი ხსოვნა და სახელი არცერთი წუთით ჩვენგან დავიწყებას არ მისცემია.

დიახ, იყო ჩვენ შორის შესანიშნავი ჟურნალისტი, კარგი ლიტერატორი, მთარგმნელი, თავის სამშობლოსა და ხალხზე ზრუნვით დამაშვრალი ქალბატონი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია მისივე თაობის მიერ განვლილი სახელოვანი გზისა, იმ თაობის, რომელმაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული 21-ე საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, საკუთარი მხრებით ატარა მრავალჭირნახული სამშობლოს ბედის სიმძიმე და დიდი ნიჭიერებით, სიყვარულით, დაუზოგავი შრომით, ერთგულებით მოიყვანა ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიის გზაზე შემდგარი, ევროპისაკენ მიმავალი მსოფლიო თანამეგობრობის მოწინავე წევრი. მაგრამ, მანამდე იყო უკიდურესად მძიმე ბავშვობა, რეპრესიების შედეგად უმამოდ, უბინაოდ, ჯანმრთელობაშელახული დედის ამარა, მალე კი ობლად დარჩენილ და-ძმასთან ერთად ცხოვრების გაუსაძლის სირთულეებთან ჭიდილი, ზოგჯერ იყო დიდი სიხარულიც დაბრკოლებების გადალახვისა, ოჯახზე, შვილებზე ზრუნვა თავის რჩეულ მეუღლესთან ერთად. მერე მრავალწლიანი მოღვაწეობა ჟურნალ „საქართველოს ქალში“, სადაც ღირშესანიშნავი კვალი დატოვა, როგორც წამყვანმა თანამშრომელმა.

შემდეგ იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ცოტა ხანში კი საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის, საქართველოს პირველი ლედის მძიმე მოვალეობის შესრულება. როგორც საქართველოში ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტი, ბევრ საინტერესო ჩანაფიქრს ახორციელებდა ჰუმანიტარული დახმარების მოზიდვა, ტუბერკულოზით და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობისთვის აუცილებელი პირობების შექმნისთვის ზრუნვა, გაზეთ „მშვიდობა ყოველთას“ რედაქტორობა და სხვა.

„გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის დონეა და არა ხორცისა. ამიტომაც გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლია“ (ილია ჭავჭავაძე). იმიტომაც ბრძანდებოდა ქალბატონი ნანული ბედნიერი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელისუფლებო ელიტაში ყოფნისას, ისეთი ადამიანების გარემოცვაში უხდებოდა მოღვაწეობა, რომელთა სულიერი თვალი მას დამსახურებულად აფასებდა როგორც ინტელექტუალურ პიროვნებას, ბუნებით ოპტიმისტს, დიპლომატიის ნიჭით დაჯილდოებულს. მთელი მისი ცხოვრება, მოღვაწეობა მაგალითი იყო სათნოებისა, სიყვარულისა, სიმართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და გულმოწყალებისა. ამავდროულად, როგორც ერთგული უღელტოლი, შესანიშნავი დედა, არაჩვეულებრივი ბებია, შევარდნაძეების სამემკვიდრეო ფუძის მაღალი ზნეკეთილობით დამამშვენებელიც იყო. ქ-მა ნანულიმ დატოვა დიდებული ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღირსებას მატებენ ედუარდ და ნანული შევარდნაძეების სახელს.

ძნელია მასზე, როგორც გარდაცვლილზე საუბარი, იგი მტკივნეულ განცდებთანაა დაკავშირებული. მისი სახელის ყოველ ხსენებას სევდასთან ერთად თან დაჰყვება იმედით განათებული განწყობა, ღიმილი, სითბო, ქალბატონ ნანულის ხასიათს რომ შეესაბამება.

ასოციაცია დღესაც, 27-ე წელია, წარმატებით აგრძელებს საქმიანობას საქველმოქმედო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით. მის წევრ ქალბატონებს ქ-ნი ნანულის სახება მარადჟამს თან გვდევს და გვმოძღვრავს:

— იღვაწეთ დინჯად, უხმაუროდ, მოყვასის სიყვარულით...

ნანული შევარდნაძის, ამ სულმნათი, დიდებული ქალბატონის ნათელი სახელი შარავანდედით იბრწყინებს დიდი ქართველი ქალბატონების ხატებათა გვერდით.

მაია კვეზერელი-კოპაძე,
ნელი გურგენიძე

რას გულისხმობს საქორწინო კონტრაქტი და რა უპირატესობები აქვს მას?

2015 წლიდან 2018 წლამდე საქართველოში 37 800-ზე მეტი წყვილი განქორწინდა, საქორწინო ხელშეკრულება კი მხოლოდ 151-მა წყვილმა დადო. რას გულისხმობს საქორწინო კონტრაქტი და რა უპირატესობები აქვს მას ? — ამ თემაზე ისაუბრეს რადიო კომერსანტზე გადაცემაში „ადვოკატის საათი მარიკა არევაძესთან ერთად“ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარემ მარიკა გოგოლაძემ და ახალგაზრდა ადვოკატების იურისტმა სოფიო მექანარიშვილმა.

მარიკა გოგოლაძის თქმით, საქორწინო კონტრაქტი აუცილებლად უნდა დადასტურდეს საჯარო რეესტრში.

„საქორწინო კონტრაქტი განქორწინების შემდგომ დავების აცილების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა ქართული მენტალობიდან გამომდინარე იშვიათად მიმართავენ მას.საქორწინო კონტრაქტის არსებობის ისტორია 2 ათას წელს ითვლის, თუმცა თავდაპირველად კონტრაქტი ზეპირი წესით იდებოდა. შუა საუკუნეებიდან კი მან წერილობითი ფორმა მიიღო, იგი იდებოდა მაშინ, როცა ქალს მზითვად მიწა მიჰყვებოდა გათხოვების შემდგომ.

დღეს საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინებამდე, ისე ქორწინების შემდეგ. თუ ქორწინებამდე იდება, მაშინ იგი ძალაში შედის რეგისტრაციის შემდეგ. საქართველოს კანონმდებლობით ის მხოლოდ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს ითვალისწინებს.

ის წერილობით უნდა იყოს სანოტარო წესით დადასტურებული საჯარო რეესტრში. ეს აუცილებელი წინაპირობაა. ხშირად იდება ხელშეკრულება ქართველ და უცხოელ წყვილს შორის, ჩვენი კანონმდებლობით, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ქონებრივ უფლება-მოვალეობებს ითვალისწინებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მეუღლეების ურთიერთრჩენას, ალიმენტის გადახდას.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ 2009 წელს 15 ხელშეკრულება დაიდო, 2018 წელს კი — 45, მონაცემები უნდა ითქვას, რომ მზარდია.

რაც შეეხება, ხელშეკრულების შეწყვეტას, მნიშვნელოვანია, რომ მისი შეწყვეტა ორივე მხარის მიერ მოხდეს. 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით გვაქვს 2 ცვლილება საქორწინო კონტრაქტში და 2009 წლიდან 2019 წლამდე გვაქვს 5 სანოტარო აქტი, რომლითაც გაუქმებულია კონტრაქტი,“ — ამბობს მარიკა გოგოლაძე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტის სოფიო მექანარიშვილის თქმით, საქორწინო კონტრაქტი განქორწინების შემდგომ სასამართლო დავების არიდების, ფინანსური, ადამიანური თუ დროის რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა.

„ჩვენი ორგანიზაციის კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, 4 წლის განმავლობაში საქართველოში 151 საქორწინო ხელშეკრულება დარეგისტრირდა, მათგან 3 შეწყდა. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა,რომ ეს რიცხვი ძალიან მცირეა განქორწინების რიცხვთან. განქორწინების მაჩვენებელი ამ ოთხი წლის განმავლობაში 37 800-ზე მეტია, რაც საკმაოდ მაღალია.

განქორწინების შემდგომი დავები საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადად, საალიმენტო ვალდებულებებს შეეხება, ძირითადად ქალბატონები მოგვმართავენ განქორწინების მოთხოვნით. დავები გვაქვს ქონების გაყოფაზე, მეუღლის მიმართ ალიმენტის დაკისრებაზე. ალიმენტის დაკისრებას, რაც შეეხება, სასამართლო ითვალისწინებს პირის ქონებრივ შესაძლებლობებს, ასევე მნიშვნელოვანია,რომ თანხის რაოდენობა ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარეობდეს და იყოს რეალური და კარგად დასაბუთებული მეორე მხარის მიერ.

საქორწინო ხელშეკრულება სიახლეა ქართული რეალობისთვის, თუმცა საზოგადოება ნელ-ნელა ეჩვევა მას. იგი ეფექტურია,რადგან წინასწარ არის მასში გაწერილი რისკები, იძლევა საშუალებას, რომ სასამართლო დავები თავიდან ავირიდოთ და დავზოგოთ ფინანსური, ადამიანური რესურსები, და რაც მთავარია დროის რესურსი. მისი დახმარებით არ იქნება სასამართლო პროცესი არც დროში გაწერილი, რადგან წინასწარ იქნება მხარეთა შორის შეთანხმებები გარკვეული,“ — ამბობს სოფიო მექანარიშვილი.



მსახიობები ვახო ჩაჩანიძე და ჯანო იზორია კანადაში დააჯილდოვეს

კანადაში Redline International Film Festival-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ, სადაც გიორგი თავართქილაძის ფილმს „ცუდი ხალხი“ 3 ნომინაცია ჰქონდა:

საუკეთესო მსახიობი — ვახო ჩაჩანიძე,
საუკეთესო რეჟისორი — გიორგი თავართქილაძე,
საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი მსახიობი — ჯანო იზორია.

ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებულები ვახო ჩაჩანიძე და ჯანო იზორია გახდნენ.

„ცუდი ხალხი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა ჰონგ-კონგის 43-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება. ფილმის რეჟისორია გიორგი თავართქილაძე, ხოლო პროდიუსერი — ვლადიმერ კაჭარავა.

ფილმის სიუჟეტი შემდეგნაირად ვითარდება — გია 1991 წლის თბილისის სამოქალაქო ომის მონაწილეა. ის მცირეწლოვანი შვილისთვის სიცხის დამწევ მედიკამენტს ეძებს, რა დროსაც შემთხვევით გადაეყრება დიდი ხნის უნახავ თანაკლასელს. მალევე ირკვევა, დიდი ხნის მონატრებული მეგობარი ახლა მისი მტერია.

მათ „დაიპყრეს“ პეტერბურგი

ტრადიციების მცველნი

ნინო ჯავახიშვილი

ვერცხლის საუკუნის ყველაზე ცნობილი ქართველი ქალბატონი თავადის ქალი ნინო ჯავახიშვილი გახლდათ. ლიდია ჩარსკაიას ონავარი და გულკეთილი გმირი გოგონა ნინა ჯავახოვა იმ ხნის ბავშვების განუყრელი მეგზური იყო.

ბადრი კაკაბაძე

მისი უახლოესი ნათესავები, ჯავახიშვილებისა და ერისთავების საგვარეულოთა წარმომადგენლები პეტერბურგში დიდ თანამდებობებზე მსახურობდნენ. თავის პეტერბურგულ ბავშვობას იგი ყოველთვის ღიმილით იხსენებდა: მისი გაცნობისას გიმნაზისტი გოგონები აღფრთოვანებით წამოიძახებდნენ ხოლმა: „შენ ნინა ხარ?! ჯავახოვა?! ნუთუ, მართლა სწორედ ის ნინა ხარ?!“ არიან ადამიანები, რომელთაც თავისი სულის, ინტელიგენტობისა და განათლებულობის წყალობით, თითქოს განგებით აქვთ დადგენილი კულტურული ტრადიციების მოვლა-პატრონობა. სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ **ნინო ქრისტეფორეს ასული ჯავახიშვილი,** მისი ქალიშვილი **გულნარა შალვას ასული ჯაფარიძე** და მათი ახლო ნათესავი **ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ფურცელაძე** — ლიტერატურათმცოდნე, პეტერბურგის თეატრალური ხელოვნების აკადემიის დოცენტი, რომელსაც მისი ერთ-ერთი მოსწავლე ასე ახასიათებს: **„მას აქვს სტილი, დახვეწილობა, მეტყველების კულტურა. იგი იქაც, ვერცხლის საუკუნეშია და აქაც, ჩვენთან არის“**. ალექსანდრა ფურცელაძის, კომპოზიტორ **ანდრეი პეტროვისა** და კონცერტმაისტერ **მიხეილ აპტეკმანის** მეცადინეობით, ქალაქმა რომანსის დღესასწაული „პეტერბურგის შემოდგომა“ მიიღო.

როცა კი ახლობლებთან თბილისში ჩადიოდა, ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე ყოველ მიზეზგარეშე საჯარო ლექციას კითხულობდა კულტურის რომელიმე სახლში, რადგან ჩვეულებრივ ბინას მისი ყველა თაყვანისმცემლის დატევა არ შეეძლო. თავისი უკიდურესი დაკავებულობის მიუხედავად, იგი უაღრესად ადვილად საურთიერთობო და სადა ხასიათის, მუდამ სასიკეთო საქმის საკეთებლად შემართული, ხალხით გარშემორტყმული ქალბატონი გახლდათ. იგი ძალიან ბევრ რეჟისორთან და ლიტერატორთან, ასევე დამწყებ მწერალთან მეგობრობდა, რომელთა შორის თავის ახლობელი ქალბატონის ვაჟიშვილს **სერგეი დოვლატოვს** გამოარჩევდა. ბავშვობაში შურა ჯაფარიძე ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და იმ სკოლაში სწავლობდა, რომელიც ოდესღაც ანა ახმატოვას გიმნაზია იყო. თავისი მეგობრის, ცნობილი პოეტის შვილიშვილის სახლში, მას ხის დიდი ზარდახშა ჰქონდა ნანახი, რომლის გახსნა გოგონებს ეკრძალებოდათ. რომ წამოიზარდა, შურა მაშინღა მიხვდა, თუ რა განძს ინახავდა ეს ძვირფასი ნივთი — ეს იყო სწორედ ის „კიპაროსის ზარდახშა“, რომელმაც სახელწოდება მისცა **ინოკენტი ანენსკის** სიკვდილისშემდგომ ლექსთა კრებულს, რომელიც 54 წლის ასაკში ცარსკოე სელოს ვაგზლის კიბეებზე ინფარქტისგან გარდაიცვალა. სწორედ ასეთი ცოცხალი ამბებით იყო გაჯერებული მისი გამოსვლები, რა დროსაც მსმენელები თითქოს ხელშესახებად გრძნობდნენ გარდასულ ეპოქას, ამიტომაც მის საჯარო ლექციებზე დარბაზებში ტევა არ იყო. საყვარელ მასწავლებელს კი მოწაფეებმა „ჩვენი ქალაქის ოქროს ფონდი შეარქვეს“.



ოლეგ ბასილაშვილი

* * *

ახლა როგორღა ცხოვრობს პეტერბურგის ქართული დიასპორა? ამჟამად იგი 40 ათას კაცს ითვლის, თუმცა სსრ კავშირის დაშლამდე ლენინგრადში დაახლოებით 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა. მოსკოვური რამდენიმე ქართული სათვისტომოსგან განსხვავებით, პეტერბურგის ქართული სათვისტომო ერთ მუშტადაა შეკრული. მათ პერესტროიკის დროს დაარსებული ორგანიზაცია „ივერია“ აერთიანებს, რომელიც 1992 წელს სათვისტომოდ გარდაიქმნა. 1999 წელს სათვისტომოს თავმჯდომარე წარმატებული მეწარმე **ბადრი კაკაბაძე** იყო, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. იგი რუსეთის წმინდა გიორგის პირველი ხარისხის და საქართველოს ღირსების ორდენებითაა დაჯილდოებული, მიღებული აქვს სანკტ-პეტერბურგის სიცივის საერთაშორისო საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსის წოდება, არის პეტერბურგის და რუსეთის მთელი ჩრდილო-დასავლეთში ნაყინის ყველაზე დიდი მწარმოებელი.

სათვისტომოში მოქმედებს ცეკვის ოთხი ფოლკლორული ანსამბლი. 2016 წელს პეტერბურგში, რუსთაველის ქუჩისა და განათლების პროსპექტების კვეთაზე **ზურაბ წერეთლის** მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგა. ქართული დიასპორის მხარდაჭერით რესტავრაცია ჩაუტარდა შოსტკოვის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიას, სადაც წირვები ქართულ და რუსულ ენებზე ტარდება. პეტერბურგელი ქართველები მონაწილეობენ „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ მუშაობაში, რომლის მიზანია ქართული დიასპორების კონსოლიდაცია.

პეტერბურგელ ცნობილ თანამემამულეთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ კლინიკების „მედიას“ დამაარსებელი სტომატოლოგი **თ. მჭედლიძე,** ლ. სოკოლოვის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების გამგე, რუსეთის დამსახურებული ქირურგი **ვ. თოიძე,** კულტურის მოღვაწეები — რუსეთის სახალხო არტისტი **ოლეგ ბასილაშვილი,** ბალეტის აკადემიის რექტორი **ნიკოლოზ ცისკარიძე,** მარიინის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები **მიხეილ კოლელიშვილი** და **ირმა ნიორაძე.**



ა. ბაინდურაშვილი

ქალაქის „ოქროს ფონდს“ უდავოდ მიეკუთვნება ცნობილი ექიმი **ალექსი ბაინდურაშვილი,** რომელიც რუსეთის ტრავმატოლოგ-ორთოპედთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია. პროფესორი ა. ბაინდურაშვილი ამავდროულად ევროპაში უნიკალური ტურნერის სახელობის ბავშვთა სამეცნიერო-კვლევითი ორთოპედიული ინსტიტუტის დირექტორიცაა, რომელიც ყოველწლიურად ასზე მეტ ურთულეს ოპერაციას აკეთებს. ინსტიტუტის შესახებ საუბრისას პროფესორმა ბაინდურაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „უნიკალობით მე მას, ჩვეულებრივ, მარიინის თეატრს ან ერმიტაჟს ვამსგავსებ“.

ირმა ნიორაძე

სიმბოლურია პეტერბურგელი ქართველის **ვახუშტი ფარცვანიას** მოღვაწეობა, რომელიც თავისი პროექტების განსახორციელებლად როგორც რუსეთელ, ისე ქართველ მეცნიერებს იზიდავს. 2005 წელს მან პეტერბურგში ა. გრიბოედოვის სახელობის კულტურის ფონდი დაარსა. იმავე წელს იგი სანკტ-პეტერბურგისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შექმნილ რუსეთულ-ქართული საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში. არის სამეცნიერო-თეორიული ჟურნალის „იმედიანი კაცის“ მთავარი რედაქტორი.

პეტერბურგში ჩვენი თანამემამულეების მოღვაწეობა მომავალზეა ორიენტირებული. იქაური ქართველები სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ, ღირსეულად ცხოვრობენ, იცავენ ისტორიულ ტრადიციებს, ცდილობენ სიკეთის თესვას და საქართველოს ღირსებას თვალისჩინივით უფრთხილდებიან, რადგან მუდამ ახსოვთ, რომ სამშობლოს სახელს უდიდესი პატრონობა უნდა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

დასასრული. დასაწყისი იხ. №48, 50, 53-54

ფრანგული კომპანია „მექსელი“ საქართველოში საწვავის დანამატის იმპორტს იწყებს

სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში 19 მარტს გაიმართება ფრანგული კომპანია „მექსელის“ პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მოწვეული იქნებიან როგორც სამთავრობო უწყების, ასევე უმსხვილესი ქართული კომპანიების წარმომადგენლები. პრეზენტაციას დაესწრება საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებინი ელჩი საქართველოში პასკალ მენიე.

ფრანგული კომპანია „მექსელი“ საზოგადოებას წარუდგენს ეკოლოგიური ეფექტის გაუმჯობესებისათვის საჭირო პროდუქციას — საწვავის დანამატს. კერძოდ, ბენზინის-MexMogas-EVO და დიზელის-MexDiesel- EVO დანამატებს. პროდუქცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა წამოებული და უზრუნველყოფს საწვავის ხარისხის შენარჩუნებას, წვის პროცესის გაუმჯობესებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი გამოყენებით მცირდება მავნე ნივთიერებების გამოყოფა, მათ შორის CO2-ის.

კომპანია „მექსელი“ დაარსდა საფრანგეთში 1990 წელს, ფლობს ლაბორატორიას, საინჟინრო მოწყობილობებს და გააჩნია ISO-ს სერტიფიკატი (ISO 9001). 2012 წლიდან კომპანიის საქმიანობა კანონმდებლობით არის რეგულირებული. ღონისძიების ორგანიზატორია კომპანია „ექსპერტო კონსალტინგი“.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 61.1 ლარით გაიზარდა

2018 წლის IV კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 61.1 ლარით გაიზარდა და 1202.0 ლარი შეადგინა. „საქსტატის“ ინფორმაციით, 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხელფასების ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა სექტორში. საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები — 2144.9 ლარი (წლიური ზრდა 0.6 პროცენტი); მშენებლობა — 1956.4 ლარი (წლიური ზრდა — 1.4 პროცენტი); საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა — 1902.0 ლარი (წლიური ზრდა 7.3 პროცენტი).

2018 წლის IV კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 906.0 ლარით, ხოლო კაცების — 1468.5 ლარით განისაზღვრა და ხელფასების წლიურმა ზრდამ შესაბამისად 46.5 და 81.1 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

2018 წლის IV კვარტალში დაქირავებულთა საშუალო ხელფასმა 1318.7 ლარი შეადგინა

2018 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა ბიზნეს სექტორში 1318.7 ლარი შეადგინა (წლიური ზრდა 77.2 ლარი).

„საქსტატის“ ინფორმაციით, საქმიანობის სახეების მიხედვით მაღალი ხელფასი პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (2484.9 ლარი, წლიური ზრდა 0.8 პროცენტი), ასევე მშენებლობის (1968.0 ლარი, წლიური ზრდა 1.5 პროცენტი) დარგში ფიქსირდება. 2018 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 38.6 ლარით და 1012.5 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ასევე სხვა სახის მომსახურების სფეროებში დასაქმებულებს.

ჩემთვის სულერთია, საიდან არის ადამიანი მოსული – სინგ-სინგიდან თუ ჰარვარდიდან. ჩვენ ადამიანს ვქირაობთ და არა ისტორიას.

ბიზნესსა და სამუშაოზე

ᲒᲔᲕᲠᲐᲓ უკეთესია, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა კარგი იდეის სრულყოფილებას მოვახმაროთ, ვიდრე სხვა, ახალ იდეებს გამოვეკიდოთ. კარგი იდეა ზუსტად იმდენს იძლევა, რამდენის დაძლევაც ერთბაშად შეიძლება.

* * *

ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ორგანიზაცია, რომელიც მიზნად არ ისახავს იმას, რომ მომავალში ზედმეტი გახდეს, ვერ ასრულებს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ის მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავისთვის ზრუნავს.

* * *

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ნუ მიაქცევ კონკურენციას, გაუშვი, იმუშაოს იმან, ვინც უკეთესად არ თმევს საქმეს თავს. ვისიმე საქმის ჩაშლის ცდა დანაშაულია, რამეთუ ის ცდა ნიშნავს გამორჩენის დევნაში სხვა ადამიანის ცხოვრების ჩაშლის საცადისს და საღი აზრის დამკვიდრების ნაცვლად ძალის გამატონებას.

* * *

ᲤᲘᲥᲠᲘ ყოვლის უფრო საძნელო საქმეა, ალბათ, ამიტომ არის, რომ აგრერიგად ცოტანი მისდევენ ამ საქმეს.

* * *

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ამოცანაა მოხმარებისთვის წარმოება, და არა გამორჩენა და ქორვაჭრობა. ხოლო ასეთი წარმოების პირობაა, რომ გამოუშვას კეთილხარისხიანი და იაფი ნაწარმი, რომ ეს ნაწარმი ხალხისთვის იყვეს სასარგებლო და არა მარტო მწარმოებლისთვის.

* * *

ᲩᲕᲔᲜᲘ ხელმძღვანელი კადრების ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა სხვა ადამიანებში მმართველობის უნარის განვითარება.

* * *

ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲨᲘ არცრა ცუდი არ არის. უკეთუ საწარმო კარგად იმართება და დიდი სარგებელი მოაქვს, ცხადია, ის კარგ შემოსავალსაც მოიტანს. შემოსავალი უნდა იყვეს სასარგებლო სამუშაოს ნაყოფი და არა საფუძველი.

* * *

ᲧᲝᲕᲚᲘᲡ საუკეთესო და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ის არის, რომლითაც გატაცებული ხარ.

* * *

ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ მღელვარების უმრავლესობა სახელდობრ იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლება ბოროტად იყენებს იმ ადამიანებს, ვინც ქვეშევრდომ თანამდებობაზეა, სხვა ზემდგომის ხელქვეითია.

* * *

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ, რომლისაც შეეშინდებათ, ის არის, ვინც საერთოდ არცროდის იწუხებს თავს სხვათა გულისთვის და მუდამ უკეთესად მიჰყავს თავისი მიზნესის საქმე.

* * *

არის ერთი წესი მეწარმეთათვის, და აი ისიც: გამოუშვან, რამდენადაც შესაძლებელია, ყველაზე დაბალი ღირებულებისა და უმაღლესი ხარისხის ნაწარმი და დასაქმებულს გადაუხადონ ყველაზე მაღალი შესაძლებელი ხელფასი.

* * *

მეტისმეტად მაღალი ფასები ყოველთვის არაჯანსაღი მიზნესის შედეგია. ჯანმრთელ პაციენტს აღენიშნება ნორმალური ტემპერატურა. ჯანმრთელ ბაზარში ნორმალური ფასებით ურთიერთობენ.

* * *

ბევრ საქმიან ადამიანში შემინიშნავს თავისი პროფესიის მძიმე ტვირთად აღქმის შეგრძნება. ისინი იმ დღისთვის მუშაობენ, როცა შეეძლებათ სამუშაოსთვის თავის დანებება და სადმე მხარ-თეძოზე წამოწოლილთ მუდმივად რენტის იმედად ცხოვრება. იმათ ერთი სული აქვთ, სანამ ბრძოლას თავს დააღწევენ, რამეთუ ცხოვრება იმათ წარმოდგენილი აქვთ ბრძოლად, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო... მე, პირიქით, ვფიქრობდი, რომ ცხოვრება ბრძოლაში არ მდგომარეობს, და თუ მდგომარეობს, უნდა ვებრძოდეთ ათასგვარ სიძნელეს, უკუმოძრაობას, წუთისოფლის დამშვიდებულად ცქერას. უკეთუ ჩვენს მიზანს ჟანგი მოედება, ერთი რამღა გვრჩება: მივეცეთ ჩვენს შინაგან მცონარებას, ხოლო ჩვენი მიზანი თუ ზრდა-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №52-53

„დრის ის ფაქტორი, როცა ფულად ხარჯავენ“



ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘ

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

განვითარებაა, მაშინ კვლავ ყოველ სისხამ დილით უნდა ვიღვიძებდეთ და ვმხნეობდეთ მთელი დღე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ეცემოდნენ დიდი საწარმოები, თავიანთი სახელის ჩრდილად ქცეულნი, მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაცას შესაძლებლად მიაჩნდა ისევ ძველებურად მართვა. ცხოვრება, ჩემი გაგებით, გაჩერება კი არა, მოგზაურობაა, ისიც კი, ვინც ფიქრობს, შესასვენებლად შევჩერდიო, თავს იტყუებს, სინამდვილეში ქვევით მიექანება. ამქვეყნად ყოველივე მოძრაობაშია და ასეა ათადან-ბაბადან. ცხოვრება მიედინება, ჩვენ ეგების მუდმივად ერთსა და იმავე ქუჩაზე ვცხოვრობთ, ერთსა და იმავე სახლში, მაგრამ ყოველდღიურად სხვანი ვხდებით.

* * *

არა, არ შემიძლია იმის მტკიცება, სამუშაო მძიმე იყო-მეთქი, რაც ნამდვილად მოგვწონს და გვიტაცებს, არც როდის მძიმე არ არის.

* * *

რატომღაც ყოველთვის უწინარესად იმაზე ფიქრობენ, როგორ უფრო იაფი გახადონ საწარმო და არა იმაზე, როგორ უფრო გაამარტივონ საქონელი. დაწყებით კი სწორედ ამით უნდა ვიწყებდეთ.

* * *

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოა. მზა ნაწარმით ქორვაჭრობას არცრა საერთო არა აქვს რა მიზნესთან – ქორვაჭრობა, არც მეტი, არც ნაკლები, ქურდობის სახეირო სახეობაა, რაც კანონმდებლობის გზით აღმოფხვრას არ ექვემდებარება. საერთოდ, კანონმდებლობის გამოყენებით ბევრს ვერცრას ვერ მიაღწევ: ის არცროდის კონსტრუქციული არ არის.

* * *

მოგებამ უფრო მარჯვე, მარჯი უნდა გახადოს საქმის ხელმძღვანელობა: მეტი ტვინი უნდა ჩადოთ თქვენს სამუშაოში – ტვინი და კიდევ ერთხელ ტვინი!

* * *

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ, რომელიც სავსებით მომსახურების გაწევაზეა გათვლილი, მხოლოდ ერთი საზრუნავი ექნება – მოგება, რაც დამამძიმებლად დიდი იქნება.

* * *

კონკურენცია ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ ვერაგი რამ არის, რომელიც ხარჯს აფოლებს.

* * *

ᲩᲔᲛᲘ აზრით, აქციონერები მხოლოდ ის ადამიანები შეიძლება რომ იყვნენ, ვინც აქტიურად მონაწილეობს ამ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ, ვისთვისაც კომპანია მომხმარებლის მომსახურების საშუალებაა და არა საკუთარი გამდიდრების წყარო.

* * *

შრომას და მარტოოდენ შრომას ძალუძს კონკრეტული ნაყოფის შექმნა და მოტანა.

* * *

უწინარესად შემოსავლის გამოკიდება კლიენტის მომსახურების მხრივ სულ აარაფრებს მთელ ჩვენს ძალისხმევას, იმიტომ რომ გამიზნულია მომენტალურ მოგებაზე.

* * *

ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, რომელიც კარგი პროდუქტით არ არის გაჯერებული, ძალიან მალე ცუდით გაჯერდება.

* * *

მრეწველობის საბოლოო მიზანი ისეთი მდგომარეობის შექმნაა, როცა ადამიანებს თავიანთი ტვინის გამოყენების შანსი აქვთ, რამეთუ ადრე დილიდან გვიან ღამემდე არსებობის საშუალებათა მოპოვებით არ არიან დაკავებულნი.

* * *

მუშა, რომელიც მთელ თავის ძალასა და უნარს საწარმოს ახმარს, იდეალური მუშაა, მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ ის სულ ასე იმუშაგელიავებს, თუ შესაბამისად არ უღიარეს თავისი დამსახურება.

* * *

მე მოვიგონე შემდეგი ლოზუნგი: „თუ ვინმე უარს იტყვის ჩემს ავტომობილზე, ვიცი, რომ ამ ამბავში დამნაშავე ისევ თვითონ ვარ“. იმ დღიდან, როგორც კი ქუჩაში პირველი ავტომობილი გამოჩნდა, დარწმუნებული ვიყავი იმის საჭიროებაში. ამ რწმენამ პირდაპირი გზით ერთ მიზნამდე მიმიყვანა – ამეგო ავტომობილი ფართო მოხმარებისთვის. მთელი ჩემი ძალისხმევა მიმართული იყო მაშინ, რასაკვირველია, ახლაც, იქითკენ, რომ შემემუშავებინა ერთადერთი ავტომობილი – უნივერსალური მოდელი. წლიდან წლამდე ვცდილობდი ფასის მუდმივი კლებით ამ ავტომობილის გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

* * *

მწარმოებლის კეთილდღეობა საბოლოოდ დამოკიდებულია იმ სარგებელზეც, რომელიც იმას ხალხისთვის მოაქვს.

* * *

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ აზრია წარმოება მომხმარებლისთვის და არა გამორჩენისა და სპეკულაციისთვის.

* * *

ერთი რამ ცხადია: არც ერთ საწარმოს არ ძალუძს ხარჯის გაწევა, რომელი ხარჯიც შემოსავალს აჭარბებს. უკეთუ ჭიდან წყალს იმაზე უფრო სწრაფად ვიღებთ, ვიდრე იქ გუბდება, რა თქმა უნდა, წყალი მალე დაშრება და ჭის წყალზე დამოკიდებულს წყურვილი დატანჯავს, ხოლო თუ ვიფიქრებთ, ერთ ჭას რომ ამოვხაპავთ, მერე ახლა მეზობელ ჭას მივადგებითო, არ გამოვა, ერთხელაც იქნება, ყველა ჭა დაშრება.

* * *

ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠ და ასეთ ადამიანთ ვეძებ, რომელთაც შეუძლებლის უცოდნელობის ზღვარდაუდებელი უნარი აქვთ.

* * *

რა ვიცი, რა შედეგს მომიტანს რეკლამა, მაგრამ ერთი დოლარიც რომ გამოვიმუშავო, მაინც რეკლამაში ჩავდებ.

* * *

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲗᲐ მონაწილეობა იმით არის საშიში, რომ ისინი მხოლოდ ფულის კატეგორიებით აზროვნებენ. იმათთვის ფაბრიკა ფულის შოვნის საშუალებაა და არა, საქონლის გამოშვების საშუალება. ისინი აგრეთვე მოგებაზე არიან გაფაციცებულნი და წარმოების ეფექტურობაზე. იმათ არც ის ესმით, რომ საქმის ერთ ადგილზე დგომა არ ეგების: ის ან ვითარდება, ან კნინდება. გაიაფებაში ისინი მხოლოდ მოგების დაკარგვას ხედავენ და არა ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ მომავალი განვითარების საფუძველს. ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲜᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ ნამეტან დიდ როლს თამაშობენ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)



ნატოს ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა მიიღონ ნატოში

„საქართველო ალიანსისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პარტნიორია. საქართველო წევრობისკენ მიისწრაფვის და მოკავშირეებს არაერთხელ დაუდასტურებიათ თავიანთი ძალისხმევა საქართველოს ნატოში გასაწევრებლად. საქართველო, ასევე, არის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა ნატოს ოპერაციებსა და მისიებში“, – ასეთია ნატოს გენერალური მდივნის ანგარიში.

ნატოს გენერალური მდივნის 2018 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ხორციელდება. პაკეტი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და, შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრებისათვის მომზადებას ემსახურება.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი 15 ინიციატივას მოიცავს, რომელიც მხარდაჭერილია დაახლოებით 40 რეზიდენტი და არარეზიდენტი ექსპერტების მიერ ყველა მოკავშირე ქვეყნიდან, ასევე ფინეთიდან და შვედეთიდან. 6 ინიციატივის ამოცანები 2019 წელს შესრულდება.

ამასთან, მნიშვნელოვანი გზავნილები გავრცელდა 13 მარტს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე, სადაც გაიმართა მოსმენა სახელწოდებით – „ნატოს 70 წლისთავი და შეუცვლელი ალიანსი“.

ევროპისა და ნატოს საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის ყოფილმა მოადგილემ იან ბრჟესინკიმ ხაზი გაუსვა ნატოს წევრებისა და მოკავშირეების სამხედრო გაძლიერების მნიშვნელობას. მისი განმარტებით, საჭიროა, რომ ნატომ განსაკუთრებით გააძლიეროს ჩრდილოეთ და ცენტრალური ევროპის, შავი ზღვისა და არქტიკის ფლანგები. მისი თქმით, საჭიროა, რომ ალიანსმა მტკიცედ დაუჭიროს მხარი საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებას.

მისივე განმარტებით, უკრაინისა და საქართველოს ტრანსატლანტიკური მისწრაფებებისადმი დასავლეთის მხრიდან უფრო ქმედითი და ძლიერი მხარდაჭერის ვალდებულების აღების შემთხვევაში, ნაკლები ალბათობაა, რომ პუტინი საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განახორციელებდა აგრესიას.

„ეს ქვეყნები მიისწრაფვიან ნატოში გაწევრებისაკენ და საკუთარ შეიარაღებულ ძალებს აგზავნიან, რათა მხარი დაუჭირონ ჩვენს მისიებს, ეს იქნება ბალკანეთსა თუ ავღანეთში. მე მახსოვს დრამატული სახის გადაცემა ავღანეთში მებრძოლი ქართული ოცეულის თაობაზე, რომელიც ჩვენს საელჩოს იცავდა და ამას მაღალპროფესიულად აკეთებდა. მათ მეტი მხარდაჭერის აღმოჩენა სჭირდებათ ჩვენგან“, – განაცხადა იან ბრჟესინკიმ.

ასეთია გზავნილები დასავლეთიდან. 2019 წელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ნატო სრული ფორმატით იქნება საქართველოში წარმოდგენილი. უახლოეს პერიოდში იგეგმება ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში, ასევე იგეგმება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი. საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის განცხადებით, შემდეგი მიზანი არის ნატოში გაწევრება, რომელიც ასევე, საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა.

„საქართველო, როგორც ნატოს სამაგალითო და ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი ასპირანტი ქვეყანა, წარმატებით ასრულებს ალიანსის წინაშე ნაკისრ ყველა ვალდებულებას და 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ოფიციალურად გაცხადებული და არაერთგზის დადასტურებულია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ნატო სრული ფორმატით იქნება წელს საქართველოში წარმოდგენილი და ვფიქრობ, ესეც არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ჩვენს პრიორიტეტებსა და სტრატეგიაში ნატოსთან ინტეგრაციას ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ექნება“, – აცხადებს დავით ზალკალიანი.

ექსპერტი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძის განცხადებით, როდესაც ვლაპარაკობთ ნატოზე, აქ მნიშვნელოვანი არის ორი კომპონენტი, პირველი – ქვეყნის პრაქტიკული მზადება. საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომ მოემზადოს წევრობისთვის და მეორე არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ის პოლიტიკური შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ეს კონსენსუსი შედგეს და გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

მისი თქმით, გაწევრიანება ხშირად დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან და არსებობს ძალები, რომლებიც ცდილობენ, სახელმწიფოს შეუქმნან გარკვეული პრობლემები.

„ის, რომ რეგიონში არ არის მარტივი სიტუაცია, ეს ყველასთვის ცხადია. ამიტომ საუბარი არის იმაზე, რომ შესაქმნელია შესაძლებლობების ფანჯარა, რაც აუცილებლად მოხდება, რაც არაერთხელ მომხდარა არაერთ შემთხვევაში. მთავარია, იმ მომენტისთვის ვიყოთ მზად და როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდება, ჩვენ გავხდეთ ნატოს წევრი“, – აღნიშნა თენგიზ ფხალაძემ.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ საქართველოს შემთხვევაში გეოპოლიტიკური რეალობა განსხვავებულია, ქვეყანა ცივი ომის პირობებშია. პარალელურად, სერიოზული გეოსტრატეგიული საკითხები წამოაყენა ამერიკამ და რუსეთმა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, ეს ფონი კი, სერიოზულ ვითარებას ქმნის.

„ჩვენ უკვე არ ვართ იმ ვითარებაში – ნატოში მიგვიღებენ თუ არა. აქ საკითხი დგას საკმაოდ სერიოზული კუთხით, ნატოს ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა მიიღონ ნატოში, რადგან აქ საუბარია ამ ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე.

რუსეთი გადავიდა წმინდა აგრესიულ ქმედებებზე. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა პირდაპირი სამხედრო აგრესია განახორციელოს ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთში. აქ უკვე დგება ჩვენი სუვერენიტეტის საკითხი. რუსეთი ღიად ემუქრება შეჭრით ბალტიის ქვეყნებს და პოლონეთს, საქართველოსა და უკრაინას რას უზამს, ხომ წარმოგიდგენიათ“, – აღნიშნა For.Ge-სთან საუბრისას ვახტანგ მაისაიამ.

მოამზადა
თამარ ქარჩაიძემ

საქართველო – ევროპული კულტურის ახალი ცენტრი

გავლენიანი ამერიკული გამოცემა, „Newsweek“-ი საქართველოს შესახებ ჯორჯ უენის ავტორობით ვრცელ მასალას აქვეყნებს, სადაც ავტორი საქართველოში ყოფნის შესახებ თავის შთაბეჭდილებებს გადმოსცემს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

უეჭველია, გამჭრიახმა და თავგადასავლების მოყვარულმა მოგზაურმა უკვე დაიწყო 2019 წლის მარშრუტების შედგენა. თუ თქვენ მშვენიერი ღვინოებისა და უძველესი კულტურის დამფასებლები ბრძანდებით, ამ მხრივ განსაკუთრებით მიმზიდველ ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს. უნდა ინახულოთ არამარტო თბილისი და ბათუმი, რომლებსაც მოგზაურთა რადარზე ავანგარდული ადგილი აქვთ დაკავებული, არამედ წინანდალიც, რომელიც ქართული მეღვინეობის აკვნად ითვლება.

როგორც ენოლოგი (ღვინის დამზადების სპეციალისტი) ენდრიუ ჯეფორდი ირწმუნება, „დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც 8 ათასი წლის წინათ არსებული მეღვინეობის მეთოდები არა მარტო დავიწყებული არ არის, არამედ ამჟამადაც საუკეთესო მდგომარეობაშია“.

საქართველო, რომელიც ყოფილი საბჭოთა სატელიტი რესპუბლიკა იყო, დღეს ისეთი გაბედულია, როგორც არასდროს – ქვეყანა მზად არის, თავისი ევროპული ფესვები უფრო ღრმად გაიდგას: მისი დედაქალაქი თბილისი კავკასიურ ბერლინს ემსგავსება. აქედან 70 კილომეტრის მოშორებით, კახეთში, ახალი კულტურული მექა – აღორძინებული წინანდალი თავისი უფლებების დემონსტრირებას ახდენს.

საქართველოსთვის წინანდალი იგივეა, რაც ბილბაო ესპანეთისათვის. იმ როლს, რასაც ბილბაო ასრულებს ხელოვნებისათვის, საქართველოში იმავეს წინანდალი შეასრულებს – აქ 2019 წლის სექტემბერში პირველად გაიმართება კლასიკური მუსიკის ფესტივალი.

მოგზაური საქართველოში ნამყოფად არ ჩაითვლება, თუ მას ხევსურული ცეკვა არ უნახავს – ქართული ტრადიციული ცეკვა, რომელიც ხევსურეთის მთიან რეგიონში უხსოვარ დროს დაიბადა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენი მოგზაურობა თბილისიდან უნდა დაიწყოს, რომელიც თანამედროვე ჰიპსტერებთან ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. მხედველობაში გვყავს Gen-Z მოგზაურები, რომლებთაც იზიდავს მოკირწყლული ქუჩები, შუა საუკუნეების ეკლესია-ტაძრები და ყველაფერი ისტორიული. მათ ისიც მოეწონებათ, რომ თბილისი ტურისტებით მაინცდამაინც გადატვირთული არ არის: შეუძლიათ თავისუფლად ისადილონ კაფე-რესტორნებში, დრო ატარონ გვიან ღამემდე, მიირთვან ჭაჭა – ღვინის პროდუქტებისგან გამოხდილი და ბრენდად ქცეული სასმელი, რომელსაც ქართველები სიამოვნებით გეახლებიან. ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში მარიხუანას მოხმარებაც ლეგალურია, კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ საქართველო კანაბისის მოყვარულთა რადარზეც გაჩნდეს.

თბილისის, როგორც კავკასიური დედაქალაქის ემბლემად ბევრი ღირსშესანიშნაობა შეიძლება ჩავთვალოთ. მათგან ერთ-ერთი მეოთხე საუკუნის ციხე-სიმაგრე ნარიყალაა, რომლის ნახვის შემდეგ თქვენ უნდა გააკეთოთ ის, რასაც თბილისელები აკეთებენ – ეწვიეთ გრიშაშვილის ქუჩაზე არსებულ ცნობილ გოგირდის აბანოებს, სადაც მასაჟისა და ორთქლის გამაჯანსაღებელი თვისებით ისიამოვნებთ.

მას შემდეგ, რაც აბანოში გონების, სხეულისა და სულის აღორძინებას დაასრულებთ, დააგემოვნეთ ქართული კერძები. ყველა თქვენი სურვილი გათვალისწინებული იქნება.

თბილისური 50-საათიანი შთაბეჭდილებების შემდეგ – წინანდალში, კახეთის ცნობილ მამულში ხართ – ქართული კულტურისა და რომანტიზმის მხარეში. ყველა ადგილობრივი მოგიყვებათ ლეგენდას, რომლის თანახმად, მსოფლიოში ვაზის ნაყოფი პირველად სწორედ აქ დაიწურა და პირველად ღვინო სწორედ აქ მომზადდა. ალექსანდრე დიუმამ წინანდალს „ედემის ბაღი“ უწოდა, ალექსანდრე პუშკინი კი აქ ხშირი სტუმარი იყო. შეიძლება ითქვას, წინანდალი მე-11 საუკუნის ევროპაში კულტურის საკვანძო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო მე-19 საუკუნეში პოეტმა, თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ წინანდალი ქართული კულტურის ცენტრად აქცია. ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, თუ იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში სამომავლოდ წინანდალსაც იხილავთ.

აქ თქვენ ნახავთ თვალწარმტაც სასახლეს, მზრუნველობით მოვლილ ბაღს, მის ახლოს მდებარე კანიონებს და ფიჭვთა ტყვრებს, რომლებიც საქართველოს ლაჟვარდოვან ზეცაში ხანჯლებადაა აზიდული. კახეთში დატკბებით ქართული არქიტექტურის არატიპური კახური გამოვლენით, იტალიურ სტილში რესტავრირებული ვილებით, ახლახან გახსნილი სასტუმრო Radisson Collection-ით და თანამედროვე საკონცერტო დარბაზებით, მათ შორის ამფითეატრით, რომელსაც მოძრავი სახურავი აქვს.

წინანდლის ფესტივალის ერთ-ერთი ცენტრი იქნება ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და მის ახლომახლო აგებული, სრულიად ახალი საკონცერტო დარბაზები, სადაც 40-მდე კონცერტი ჩატარდება. ფესტივალის მუსიკალური დირექტორია ცნობილი იტალიელი დირიჟორი ჯანანდრეა ნოზედა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, რომელიც, უეჭველია, თავისი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მხურვალე მხარდამჭერია, მტკიცედ ამბობს, რომ **„წინანდლის მამულის აღორძინება ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და ქართული კულტურის ცენტრად გადაქცევას – ისე, როგორც ეს მე-19 საუკუნეში იყო“.**

წინანდლის 21-ე საუკუნის რენესანსი „სილქროუდ ჯგუფის“ („აბრეშუმის გზის“) დამაარსებლის გიორგი რამიშვილის სახელთანაა დაკავშირებული: **„ჩვენ ამ პროექტის რეალიზება 2007 წელს დავიწყეთ. უკვე ვხედავთ შედეგს, რომ ახალი წინანდალი უფრო მეტად აღორმავებს და აფართოებს თავის დიდებულ და სახელოვანი წარსულის ტრადიციებს“,** – ამბობს გიორგი რამიშვილი Newsweek-თან საუბარში, – ეს, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ევროპის ერთ-ერთი კულტურული ცენტრის როლის აღდგენასა და განმტკიცებას“.

ჯორჯ უენი
„Newsweek“ (აშშ)

„კუკუშკა“ თუშეთამდე: ალვანიდან – ომალომდე!

შესაძლოა, ვიწრო რკინიგზა აშენდეს!

ოცნებას კაცი არ მოუკლავს!

ალვანიდან თუშეთის სოფელ ომალომდე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობას თუშეთის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმა ითვალისწინებს, რომელიც თუშეთის განვითარებისთვის მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება.

პროექტის ავტორი, არქიტექტორი გია აბულაძე „მთის ამბებთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამბობს, რომ ომალომდე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის საპროექტო იდეას, თუშეთში მთელი წლის განმავლობაში გარანტირებული მიმოსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გია აბულაძის თქმით, თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი სამანქანო გზა ტექნიკური ნორმატივებით ვერცერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს: **„ვერცერთი ნორმალური კრიტერიუმით ვერ შეაფასებ იმ გზას, რაც დღეს არის. ვერც უსაფრთხოების, ვერც საფარის, ვერც დახრილობისა თუ რადიუსების თვალსაზრისით და ა.შ. გზა არის გასაკეთებელი სწორად და კარგად, ხარისხიანად. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ეს გზა გაკეთდეს ეტაპობრივად. როგორ მოვუაროთ ამ გზას? ბევრი საშუალება არსებობს“.**

გეგმა თვალისწინებს პანკისი-თუშეთის გზის (ბირკიანი – კოკლათა) მშენებლობასაც. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ გზის მშენებლობით შეიკვრება წრე ახმეტა – ფშაველი – აბანოს უღელტეხილი – ომალო – კოკლათა – ბირკიანი – ახმეტა.

სპეციალისტთა ჯგუფმა თუშეთის სოფელ ომალოში შეუძლებლად მიიჩნია აეროდრომის მშენებლობა, რომლის მოწყობის თაობაზეც 2016 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

„ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ალტერნატიული სატრანსპორტო კომუნიკაცია, ვიწროლიანდიანი რკინიგზა“, – „მთის ამბებთან“ ინტერვიუში გია აბულაძე ე.წ. „კუკუშკის“ უპირატესობებზეც საუბრობს, მათ შორის ამ გზისთვის მოძრავი შემადგენლობა, როგორც ალპებში, შედგება 4-6 სამგზავრო ვაგონისგან, თითოეული 45-75 სამგზავრო ადგილით;

იაფია და დიდი ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობებიც აქვს. თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით, შპს „სტუდიო 21“-მა შეადგინა. სპეციალისტთა ჯგუფი 2 წლის განმავლობაში მუშაობდა. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის გარდა, პროექტი მოიცავს თუშეთის 10 სოფლის და ქვემო და ზემო ალვანების განაშენიანების რეგულირების გეგმებს.

დოკუმენტი არის სივრცესა და დროში გაწერილი ათწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა.

მეორადი საბურავებისა და დაშლილი ავტონაწილების ბიზნესი მალე დაიწყებება

დედაქალაქის ათასობით მოვაჭრის ბიზნესი დიდი საფრთხის წინაშე დგება. საუბარია თბილისში მოქმედ მეორადი ავტონაწილებისა და ასევე მეორადი საბურავების ბაზრობებზე, რომელიც, როგორც წესი, ხალხმრავალ ადგილებშია განთავსებული. პირველ რიგში, შეტევა განხორციელდება ელიავას ბაზრობის მიმართულებით, რადგან მისი უდიდესი ნაწილი სწორედ ამ სახის ბიზნესს უჭირავს.

პარლამენტში უკვე შევიდა მმართველი პარტიის წევრთა მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც ქალაქის საცხოვრებელ ზონაში რიგი დასახელების პროდუქტებით, მათ შორის მეორადი საბურავებით, ჯარითით და აალებადი ნივთიერებებით ვაჭრობა იკრძალება. კანონპროექტი ამ დარღვევისთვის ჯარიმებსაც ითვალისწინებს, რომლებიც მინიმუმ 500 ლარიდან იწყება.

„თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორადი საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გასული სატრანსპორტო საშუალებებების და მათი ნაწილების, მარტივად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი ნივთის განთავსება ან რეალიზაცია იმ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არ არის განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით“, – წერია კანონპროექტში.

ამ ქმედების განმეორებისთვის ფიზიკური პირები – 1000 ლარით, იურიდიული პირები კი – 3000 ლარით დაჯარიმდებიან. მაქსიმალური სანქცია 6000 ლარს შეადგენს.

დოკუმენტის მიხედვით, თბილისის საკრებულოს ევალება, რომ 2019 წლის პირველ ივლისამდე განსაზღვროს მეორადი საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გასული სატრანსპორტო საშუალებებების ნაწილების, მარტივად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი ნივთიერების განთავსების და რეალიზაციის წესი.

კანონპროექტის მიხედვით, ამკრძალავი ნორმის მოქმედება 2019 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა დაიწყოს. თბილისის მერის კახა კალაძის თქმით, შესაბამისი ცვლილების გატარების რეკომენდაცია გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა გასცა, რაც შემდგომში ქალაქის მთავრობამაც გაიზიარა.

გარკვეული ბუფერული ზონები უნდა შეიქმნას საცხოვრებელ ადგილებს შორის. დღეს ასეთი ზონები არ არსებობს და მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, აღწეროს ისეთი ტერიტორიები, სადაც გროვდება დამაბინძურებელი ნივთიერებები და უფლებრივი ზონების მიხედვით აკრძალოს კონკრეტული სახის საქმიანობა“, – განაცხადა კალაძემ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთი გადაწყვეტილებით მერიამ მცირე ეშმაკობას მიმართა. ბაზრობის დახურვისა და გადატანის შესახებ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამიტომ დაარტყეს ბიზნესს, რომელიც იქ განვითარდა.

„ელიავას ბაზრობას დიდი ხანია უტევენ და ვერაფერი უქნეს. ახლა კი, თუ ვაჭრობა აიკრძალება, უზარმაზარი ფართობი, რომელიც ქალაქის ცენტრშია, მთლიანად გამოთავისუფლდება. ძალისმიერ მეთოდებზე და ფიზიკურ დაპირისპირებაზე უარი თქვეს და ამ ხრიკს მიმართეს. სამომავლოდ ამას მიჰყვება ბევრი ბაზრობა, მაგრამ ის, რისთვისაც მერია საკითხში ერევა, არის ელიავას ტერიტორია, რომლის მფლობელებთანც შეთანხმებას ვერა და ვერ მიაღწიეს“, – აცხადებს ტრანსპორტის დარგის ექსპერტი დავით მესხიშვილი.

ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე კი ამბობს, რომ კანონს უშუალოდ ელიავას ბაზრობისთვის არ იღებენ და თავად მუნიციპალიტეტები დაადგენენ კონკრეტულ ადგილებს, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქციის განთავსება-რეალიზაცია აიკრძალება.

„ჩვენი საკანონმდებლო რეგულაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტები დაადგენენ იმ ადგილებს, სადაც აიკრძალება სხვადასხვა სახის პროდუქციის განთავსება-რეალიზაცია. ასევე, დაადგენენ, თუ როგორ და რა ფორმით მოხდება პროდუქციის განთავსება. მაგალითად, ამტვერებადი მასალები უნდა განთავსდეს დახურულ სივრცეში, დაიტვირთოს სატრანსპორტო საშუალებებში დახურულ სივრცეში, მოხდეს გადაზიდვა დახურულად და ა.შ.“ – აღნიშნა „ბიემთან“ საუბრისას ხმალაძემ.

ბექა დანელია

ლაგოდეხში თამბაქოს მოყვანას ისევ აპირებენ

შესაძლოა, კახეთში თამბაქოს კულტურის მოყვანა კვლავ მასობრივად დაიწყოს. ამის ალბათობაზე ლაპარაკობს მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ გურამ მაჭარაშვილი. ის ამბობს, რომ პროცესი საწყის ეტაპზეა და ჯერ მოკვლევა უნდა ჩატარდეს, თუმცა ცნობილია, რომ თუკი თამბაქოს მოყვანის საკითხი გადაწყდება, პროცესში თანამონაწილე იქნება სახელმწიფო. რას ფიქრობენ ადგილობრივები ახალ ინიციატივაზე და რამდენად რეალურია თამბაქოს კულტურის აღდგენა, როცა შესაბამისი ინფრასტრუქტურა მთლიანად განადგურებულია.

უკიდურეს აღმოსავლეთ საქართველოში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მსჯელობა დაიწყო თამბაქოს კულტურის მოყვანაზე. როგორც ლაგოდეხ-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი რადიო თავისუფლებას ეუბნება, **„პირველ ეტაპზე ბაზრის კვლევა უნდა ჩატარდეს და დადგინდეს, რა დაუჯდება მოსახლეობას თამბაქოს მოყვანა, ასევე, სად და რა ფასად გაიყიდება“.**

დეპუტატი ამბობს, რომ ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან და მისგან პასუხი მიიღო, რომ თანახმაა, სახელმწიფო თანამონაწილე იყოს ამ პროექტის განხორციელებასა და ბაზრების მოძიების პროცესში, ისე როგორც ეს ხდება ღვინის რეალიზაციის დროს.

„რამდენადაც ვიცი, ამ ეტაპზე ბულგარეთი და რუმინეთია ის ქვეყნები, სადაც უფრო მეტად არის მოთხოვნა თამბაქოზე. საუბარია მისი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებაზე. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ექსპორტზე მუშაობა. მე ამ საკითხზე ურთიერთობა მაქვს უშუალოდ მინისტრთან. ზოგადად, ეს პროცესი საწყის ეტაპზეა“, – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

საბჭოთა საქართველოში ლაგოდეხი, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი გამორჩეული რაიონი იყო, სადაც თამბაქოს კულტურა მასობრივად მოჰყავდათ.1990-იან წლებამდე თითქმის ყველა სოფელში იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც თამბაქოს აშრობდნენ და ინახავდნენ. ლაგოდეხში იყო თამბაქოს გადამმუშავებელი საწარმოც, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ინფრასტრუქტურა მოსახლეობამ ნაწილ-ნაწილ დაშალა და სამშენებლო მასალები სახლში წაიღო.

ჯემალ ხაჩიძე ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც ათწლეულების წინათ თამბაქო მოჰყავდა და ამ კულტურის მოყვანის სურვილი ახლაც აქვს, თუმცა ამბობს, ეს უნდა მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც ძვირია და სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე არაფერი გამოვაო.ჯემალ ხაჩიძის თქმით, **„მხოლოდ ლაგოდეხში სეზონზე 7 ათასი ტონა თამბაქო მოჰყავდათ, მოსახლეობაც დასაქმებული იყო და შემოსავლითაც კმაყოფილი“.**

„თამბაქოს კულტურა აუცილებლად უნდა აღორძინდეს. ადრე სათითაო ფოთოლი ინემსებოდა, ახლა კი უნგრული ტექნოლოგიით თამბაქო შედის სპეციალურ მოწყობილობაში. 2 კვირა მიდის შრობის პროცედურა და 3 დღე უნდა ფერმენტაციას. ამისთვის დანადგარებია საჭირო. მე პროექტიც მაქვს გაკეთებული“.

„თამბაქოს მოყვანა არ არის ადვილი საქმე, თუმცა შემოსავლიანიაო“, – გვეუბნებიან ლაგოდეხში გამოკითხული რიგითი ადამიანები.

მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ სწორედ იმ დროს მოასწრეს საცხოვრებელი სახლების აშენება, როცა ეს კულტურა მოჰყავდათ და კარგ ფასად იყიდებოდა. შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილი მზად არის ამ მცენარის მოყვანა განაახლოს, თუკი სახელმწიფო და ბიზნესი მათ გარკვეული გარანტიებით უზრუნველყოფს, რომ მოყვანილი მოსავალი აუცილებლად გაიყიდება.

თამბაქოს კულტურა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მასობრივად თითქმის 1990 წლამდე მოჰყავდათ და მისი რეალიზაცია ძირითადად რუსეთში ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ კულტურის აღდგენაზე ლაპარაკი დაიწყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მაშინ შეიქმნა კოოპერატივებიც, თუმცა იმის გამო, რომ ადამიანთა გაერთიანებებმა შესაბამისი დაფინანსება და გასაღების ბაზრები ვერ მოიძიეს, მათი იდეები ვერ განხორციელდა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ცალკეულ ადამიანებს პირადი მოხმარებისათვის თამბაქო დღემდე მოჰყავთ.

გიორგი ალადაშვილი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„დათვური“ ფინიში

რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2019 წლის გათამაშება „ბორჯღალოსნებმა“ კრასნოდარის „ყუბანის“ სტადიონზე რუსებთან გამარჯვებით დაასრულეს. ქართველმა მორაგბეებმა ევროპის (ყოფილი ერთა თასი) ოფიციალური ჩემპიონობა მეთერთმეტედ(!) ჯერ კიდევ წინა კვირას გაიფორმეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, რუსებთან ამჯერადაც გამარჯვების წყურვილით იბრძოლეს და ჩემპიონატში მეორე ადგილის მსურველმა ჩრდილოელმა მეზობლებმა მათ ხელი ვერ შეუშალეს.

შეხვედრის წინ ჰიმნებზე ქართველი მორაგბეები სპეციალური მაისურებით გავიდნენ, რომლებზეც ერთიანი საქართველოს რუკა იყო გამოსახული. **„ამით ხაზი გავუსვით, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა! არა მხოლოდ მორაგბეებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, რუსებთან თამაში ყოველთვის განსაკუთრებულია. ჩვენ გულშემატკივრებს დავპირდით, რომ ბოლომდე დავიხარჯებოდით. ღვთის წყალობით, პირობა შევასრულეთ და შინ გამარჯვებული ვბრუნდებით“,** — თქვა ნამატჩევს გუნდის კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ.

წვიმიან ამინდში გამართული პაექრობის პირველ ნახევარში სტუმართა უპირატესობა მოკრძალებული ჩანდა. მათ რამდენიმე სახიფათო იერიში ვერ გამოიყენეს. თითქოს ტაიმი თითო გაცვლილი საჯარიმოებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მე-40 წუთზე ქართველებმა იძალეს და ლელო მაინც გაიტანეს — 10:3.

შესვენების შემდეგ უპირატესობას ქართველები ფლობდნენ, რაც ანგარიშიც აისახა - „ბორჯღალოსნებმა“ საბოლოოდ 22:6 გაიმარჯვეს, ანუ იმ 16-ქულიანი უპირატესობით, რაც რეიტინგში მეტ ქულას შეგვმატებს. თამაშის შემდეგ საზეიმო ცერემონიალზე ჩემპიონებმა ოქროს მედლებიც და კუთვნილი თასიც ჩაიბარეს. საგულისხმოა, რომ წლევანდელ ჩემპიონატში ჩვენებმა ხუთივე მატჩი მოიგეს და საპრემიო ქულაც დაიმსახურეს, რუსებთან კი 23 მატჩში 21-ედ მიაღწიეს წარმატებას.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

ლატვიური ნაღავლი

5 ოქროს, 4 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა ქართველმა ფალავნებმა ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც საერთაშორისო ტურნირი — ვ. ფრეიდენფელდსის სახელობის თასი გათამაშდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მირიან მაისურაძე (86 კგ), გოდერძი ძებისაშვილი (61 კგ), გიორგი ელბაქიძე (70 კგ), დავით ქოჩქიანი (92 კგ) და სოლომონ მანაშვილი (125 კგ).

ონელმა მაისურაძემ ფინალში ლატვიელი სამუსონოკი დაჯაბნა — 12:2, ძებისაშვილმა ყაზახი დაულეტ ტაზიბაუ 9:7 დაამარცხა, ელბაქიძემ ბელარუს ალიზალაუს 13:2 სძლია. ასეთივე ანგარიშით მანაშვილმა შვედ ფარდინის აჯობა, ხოლო 92 კილოში ქართული ფინალი გაიმართა — ქოჩქიანმა თანაგუნდელ არღვლიანს 3:1 მოუგო. ამ უკანასკნელის გარდა, ვერცხლის მედლები გიორგი ნიშნიანიძემ (57 კგ), გოგა მამიაურმა (74 კგ) და ბექა ბალანჩივაძემ (97 კგ) დაიმსახურეს, ხოლო გიორგი გეგელაშვილი (57 კგ), გივი გოგობერიშვილი (97 კგ), რამაზ თურმანიძე (61 კგ) და ოთარ ბაგაური (65 კგ) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

თამაზ პატარიძე

◎ კალათბურთი

კენჭისყრამ ასე ინება

როგორც მოგეხსენებათ, წლეულს 31 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე ჩინეთის 8 ქალაქი მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს.

შენჟენში გამართულმა კენჭისყრამ მომავალი ფორუმის ფინალური ტურნირის 32 მონაწილე ჯგუფების მიხედვით ასე „დაახარისხა“.

„ა“ ჯგუფი. ჩინეთი, პოლონეთი, კოტ დივუარი, ვენესუელა.

„ბ“ ჯგუფი. არგენტინა, რუსეთი, ნიგერია, კორეა.

„გ“ ჯგუფი. ესპანეთი, პუერტო-რიკო, ირანი, ტუნისი.

„დ“ ჯგუფი. სერბეთი, იტალია, ანგოლა, ფილიპინები.

„ე“ ჯგუფი. აშშ, თურქეთი, ჩეხეთი, იაპონია.

„ვ“ ჯგუფი. საბერძნეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, ახალი ზელანდია.

„ზ“ ჯგუფი. საფრანგეთი, გერმანია, დომინიკის რესპუბლიკა, იორდანია.

„თ“ ჯგუფი. ლიტვა, ავსტრალია, კანადა, სენეგალი.

თითოეული კვარტეტიდან მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადასულ ორ-ორ საუკეთესო გუნდს პირველი რაუნდის სამივე შეხვედრის შედეგი გადაჰყვება და იქ სხვა ოთხეულების რჩეულ წარმომადგენლებთან კიდევ ორ-ორ მატჩს ჩაატარებს, პლეი-ოფების საგზურების მფლობელთა დუეტები კი მედლებისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან განაგრძობენ.

დავძენთ, რომ ცისქვეშეთში გათამაშდება აგრეთვე ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის 7 ლიცენზია (ევროპა — 2, ამერიკა — 2, აფრიკა, აზია, ოკეანეთი — თითო).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კრივი

„ბრინჯაოს“ კვარტეტი

ვლადიკავკაზში (ოსეთი) გამართულ 19-22 წლის მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში 30 ქვეყნის წარმომადგენლები 10 წონით კატეგორიაში იბრძოდნენ მედლებისთვის.

მათ შორის რვა სპორტსმენი (ნოდარ დარბაიძე (52 კგ, ჭიათურა), არტიუშ გომციანი (56, ახალქალაქი), ოთარ ნავერიანი (64, მარნეული), ესკერხან მადიევი (69, თბილისი), გიორგი ხარაბაძე (75, ქუთაისი), ნიკოლოზ ეგაძე (91, რუსთავი), გიორგი ჭიღლაძე (+91, საჩხერე) და ანა ხუნჯუა (54, თბილისი), მწვრთნელები — ბეჟან ჭიჭინავა, შალვა დუნდუა, მსაჯი — ტარიელ გოგოჭური) საქართველოდან იყო. ევროკავშირის ქვეყნების 2018 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები — დარბაიძე და გომციანი, ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობის გამარჯვებული ეგაძე და ჩვენგან ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილე გოგონა ხუნჯუა ნახევარფინალებში დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

გივი გაგუა

◎ სუმო

მიზანთან ახლოს

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირზე მე-6 გამარჯვება იზეიმა და დადებითი ბალანსის (კაჩიკოში) დასაფიქსირებლად დარჩენილი 6 შერკინებიდან ორის მოგებაც ეყოფა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი სეკიტორი ჰარუ ბაშოს კადობანში შეხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფითი ბალანსის (მაკე-კოში) შემთხვევაში ოქეკის წოდების დაკარგვა ელის, თუმცა, ჩვენებურის წარმატებული გარჯა იმედიანად განგვაწყობს. მიუხედავად იმისა, რომ ტოჩინოშინს ტრავმა არ მოუშუშებია, დოჰიოზე ყოჩაღად გამოიყურება და უმთავრეს მიზანთან უკვე ძალიან ახლოსაა.

ლევანმა მორიგი რთული ორთაბრძოლა დასავლეთის მე-3 მაეგაშირა შოდაისთან გადაიტანა, რომელსაც ოსაკაში ყველა შეხვედრა წაგებული ჰქონდა, მაგრამ ქართველთან ძალიან მოინდომა. იაპონელმა სუმოისტმა გორგაძის მოროძასიში შესვლა მოახერხა, მაგრამ ტოჩინოშინმა მარცხენამხრიანი დგომა ჰიდარიუვატე შეინარჩუნა და მოწინააღმდეგე უვატენაგეთი დაჯაბნა.

ახლა ქართველ ოქეკის 6 მოგება და 3 მარცხი აქვს, მომდევნო შერკინება კი დღეს დასავლეთის პირველ ოქეკ გოეიდოსთან ელის. ამ უკანასკნელმა მარტის სუპერტურნირი 5 მოგებით გახსნა, თუმცა, ბოლო ოთხ დღეში 2-ჯერ დამარცხდა და ლიდერთა ჯგუფს დაშორდა. ჩვენებური მას 26-ჯერ შეხვედრია და ზურგს 10 მოგება უმაგრებს.

ამ დროისთვის ელიტურ მაკუუჩი დივიზიონს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელმაც მიჯრით მე-9 გამარჯვება კომუსუბი მიტაკეუმისთან გაიფორმა. „თეთრ ფენიქსს“ თითო მოგებით ჩამორჩებიან და „იმპერატორის თასის“ მოგების შანსს ინარჩუნებენ იოკოძუნა კაკურიუ, ოქეკი ტაკაიასუ და რიგითი მაეგაშირები — იჩინოჯო და აოიამა.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში დადებით ბალანსზე გავიდა თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ, რომელიც ჰარუ ბაშოზე აღმოსავლეთის მე-8 ნომრის წოდებით ირჯება. ქართველმა გოლიათმა 4 მარცხის წილ მე-5 მოგება (ჰატაკიკომით) აღმოსავლეთისვე მე-13 რეიტინგოსან ტაკანოშოსთან იზეიმა. შეჯიბრის მე-10 დღეს ჩვენებურის მეტოქე ასევე 5 გამარჯვების მქონე ამინიშიკი (დასავლეთის მე-11 ნომერი) იქნება, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც ჯუღელი 4:6 მარცხდება.

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

მედლები ურალიდან

რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გამართულ ძიუდოისტთა დიდ სლემზე ქართველმა ფალავნებმა სამი მედალი მოიპოვეს. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა ბექა ღვინიაშვილი (90 კგ), ხოლო ბაგრატ ნინიაშვილი (66 კგ) და ლუკა მაისურაძე (81 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ღვინიაშვილმა გადამწყვეტ პაექრობამდე 4 მეტოქეს აჯობა იპონით. პირველ წრეში რუსი ჯაფარ კოსტოევი ჩამოიშორა გზიდან. შემდეგ მის გზას გაუყენა თურქი მიკაილ ოზერლერი (ექსსლოვენიელი მიჰაელ ზგანკი, 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი), იაპონელი გოკი ტაჯიმა და ბრაზილიელი რაფაელ მასედო, ფინალი კი ჰოლანდიელ ნოელ ვან ტენდთან დამატებით დროში იპონით წააგო.

20 წლის ნინიაშვილი პაექრობაში მეორე წრიდან ჩაება: არამ გრიგორიანი (რუსეთი) იპონით დაამარცხა, ფრანგ დანიელ ჟეანს ვაზარით აჯობა, ნახევარფინალი რუს ისა ისაევთან დამატებით დროში 3 შიდოთი დათმო, მე-3 ადგილისთვის ორთაბრძოლაში კი იაპონელ ტარო ფუჯისაკას იპონით სძლია.

21 წლის მაისურაძემ ურალურ ტატამზე ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან მოლდოველი კატალინ მარიანი და მონგოლი უუგანბაატარ ოტგონბაატარი, მაგრამ მეოთხედფინალში თავად წააგო ბელგიელ მატიას სისესთან. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში დაჯაბნა რუმინელი მარსელ გირჩეა, გამოცდილი ჰოლანდიელი ფრანკ დე ვიტი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ლაშა დიდია

ტაბლო

მხატვრული ტანვარჯიში. კიევი. „ირინა დერიუგინას თასი“. სალომე ფაჟავა — გურზებით ვარჯიში. „ოქრო“. ნათელა ბოლატაევა — ბაფთით ვარჯიში. „ვერცხლი“, რგოლით ვარჯიში. „ბრინჯაო“.

ფიგურული სრიალი. კოკელშოიერი (ლუქსემბურგი). იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი. ერთეულთა თანრიგი. ეკატერინე იაზადჯი (ბათუმი) — პირველი ადგილი.

ჩოგბურთი. ინდიან უელსის „მასტერზი“. გამარჯვებულნი: დომინიკ ტიმი (ავსტრია) და ბიანკა ანდრეესკუ (კანადა).

გიორგი ზოთაძე

დაუვიწყარი

მურად ჭურაძე

სამოცდათოთხმეტი წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა ბატონი **მურად ჭურაძე**.

ქართველმა ენერგეტიკამ დაკარგა თეორიული და უნიკალური პრაქტიკული გამოცდილების, ღრმად განათლებული, ღირსეული მამულიშვილი და შემოქმედი ერისკაცი.

1968 წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დამთავრებიდან დღემდე, მან მონაწილეობა მიიღო საქართველოში თითქმის ყველა ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობაზე სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესრულებაში. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ენგურის ჰიდროკომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის 40-წლიანი პერიოდის დროს მოწყობილობა-დანადგარების სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების განხორციელებაში. ეს იყო პირველი ქართველი ინჟინერი, რომელიც დაინიშნა სპეციალიზირებული საკავშირო ორგანიზაციის „სპეცჰიდროენერგომონტაჟის“ ამიერკავკასიის ფილიალის მთავარ ინჟინრად და წარმატებით გაართვა თავი ენგურჰესის უნიკალური მოწყობილობა-დანადგარებისა და მართვის სისტემის ამოქმედებას. წლების განმავლობაში ფასდაუდებელია მისი პირადი წვლილი ენგურჰესის ობიექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასებასა და განსაზღვრაში, რომლებმაც უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველყოს მისი სრულფასოვანი ამოქმედება, შეიქმნას წინაპირობა უსაფრთხოების მაღალი კრიტერიუმების შემუშავებისათვის და დანერგვისათვის.

ბატონი მურადი წლების განმავლობაში იყო ვარდნილჰესების კასკადის დირექტორი და საწარმოო გაერთიანება საქენერგორემონტის გენერალური დირექტორი.

მისი ინიციატივით შექმნილი და დღეისათვის მოქმედი სპეციალიზირებული ქართული ორგანიზაცია „სპეცენერგორემონტი“ არის სტრუქტურა, რომელსაც ყველა კონტრაქტორი ენდობა დ წარმატებით საქმიანობს ენგურჰესის კოლექტივთან ერთად მისი უსაფრთხოების და იმედიანობის შესანარჩუნებლად.

ბატონ მურადს უკანასკნელ გზაზე თან მიყვება დიდი ადამიანური სითბო და მადლიერება გაკეთებული საქმეების გამო, აღიარება ცოდნისა და ღვაწლისა, რაც მის სამთავრობო ჯილდოებსა და წოდებებში გამოიხატა. უმთავრესი მათ შორის, როგორც თვითონ მიაჩნდა, მისი ენგურჰესელობა იყო.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენო მურად, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო; საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი; საქართველოს ენერგეტიკის აკადემია; შპს „სპეცენერგორემონტი“; შპს „ენგურჰესი“; ვარდნილჰესების კასკადი; საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

ნოდარ შარტავა, ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, მერაბ დავითაია, მურმან ჩაკაბერია, კარლო შანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ენგურჰესის მშენებლობის დამსახურებული ინჟინერი

მურად ჭურაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსისა და ჰიდრომშენებლის, დამსახურებული ინჟინრის, სიკეთით და სიყვარულით სავსე პიროვნების

მურად ჭურაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

შპს „სპეცენერგორემონტი“ მწუხარებით იუწყება, რომ 74 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საზოგადოების დამფუძნებელი, მისი გენერალური დირექტორი, ცნობილი ენერგეტიკოსი

მურად ჭურაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შოთა ლეჟავა ოჯახთან ერთად იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი

მურად ჭურაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

თამარ ლანჩავა სალომე და ეთერ ჭურაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურად ჭურაძე

პანაშვიდი 16,17,18 მარტს. დაკრძალვა 19 მარტს. გამოსვენება 2საათზე. მის. თბილისი მიცკევიჩის №25, სადარბაზო №1.

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ნანული ლაზრიევა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის, ბატონ

მიხეილ სამხარაძის

გარდაცვალების გამო.
უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქიმიკოსთა დიდი ოჯახის გამორჩეული პიროვნება, ყველას გულშემატკივარი და თანამდგომი, პროფესორი

დავით ჯინჭარაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

არდავიწყება

მიყვარხარ და მენატრები, დედა!

ეჰ, რა სწრაფად გავიდა 9 წელი, დედა. თუ არა უფლის წყალობა, აქამდე ვერ მოვაღწევდი, საყვარელო. ჩვენ ხომ 62 წელი ვიცხოვრეთ ერთად ისე, რომ ერთი დღეც კი არ ვყოფილვართ უერთმანეთოდ. 9 წელი, ანუ 3302 დღე... უშენოდ გამიჭირდა, დედა. რამდენი დარდი, ფიქრი, სევდა დამიგროვდა ამ ისედაც გაუსაძლის წუთისოფელში. ოი, როგორ მინდა გვერდით მყავდე და შენებურად მანუგეშებდე, მაიმედებდე. რა დიდი იმედი და ძალა იყავი, დედა! დღეს, შვლის ნუკრივით ობოლს, შენზე ფიქრებში მიმაქვს დღეები, არ არსებობს წუთი, არ მახსოვდე. განუწყვეტლივ შენთან ვარ მთელი გონებით, მთელი სულით. ზოგჯერ ისე მომენატრები, თუ სახლში მარტო ვარ, ლამის გული ამოვაყოლო, ისე დავიძახებ – დედაააა!.. და მერე, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ავსლუკუნდები და სასთუმალთან დადებულ შენს სურათს ვკოცნი, ვეფერები და ვესაუბრები. ვინ იცის, დედა, როგორ გტანჯავ ჩემი ასეთი გაუაზრებელი ქმედებით, მაგრამ რა ვქნა, ვიტანჯები უშენობით, არ ვიცი, რას მივაწერო ჩემი ასეთი ქმედება, ჩემს უგუნურობას თუ შენდამი უსაზღვრო, უკიდეგანო სიყვარულს, შენს მონატრებას! ალბათ სიყვარულს და მონატრებას, საყვარელო.

ჩემო მოუშუშებელო დიდო ტკივილო, სევდავ, ფიქრო და დარდო, შენთან – დედასთან, თან ამდენი ხნის უნახავთან, რა დამილევს სათქმელს... და როცა დადგება ჟამი ჩემი საწუთროდან გასვლისა, შენთან მისული ამდენი ხნის უნახავს ჩაგიკრავ გულში და მოგიყვები ჩემს გულისნადებს... ახლა კი დაგემშვიდობები ამ ლექსით, დაუვიწყარო, ყველაზე თბილო და ტკბილო დედიკო:

ჩემო დედიკო, თბილო, სპეტაკო,
ედოს და გიოს ტკბილო ბებიავ,
შენი ალერსი, ხმის გაგონება,
ოი, რარიგად მოგვნატრებია.

უფლის მადლით არ დაგვავიწყდება
შენი სითბო და შენი სიცხოვლე,
გვეამაყები, გვიყვარხარ, რადგან,
სინდის-ნამუსით სავსემ იცხოვრე.

ჩვენზე ზრუნვაში გადაღლილო და
ჩვენო ტკივილო და დიდო სევდავ,
წმინდა სამებას, ღვთისმშობელს შევთხოვ
მაგ ქვეყანაში გაცხონოს, დედა!

ნანული (ნანა) გუნია, შენი დედისერთა

შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი (იოანე) და გიორგი, ძმისშვილები გელა, დავით, ნატო, ია ჭანტურიები, რძალი ნინო ჯანჯღავა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ

მერი (მარიამი) მიხეილის ასული ჭანტურიას

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 23 მარტს, 14 საათზე, აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის სასაფლაოზე.

დელფინის მოკვლისთვის საოცრად დიდი ჯარიმა – 40 900 ლარი!



მიმდინარე წლის 10 მარტს, ბათუმის სანაპიროსთან იპოვეს მოკლული დელფინი. გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა სამართალდამრღვევი, არის თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის კაპიტანი. მან აღიარა ჩადენილი ქმედება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ დამნაშავის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩადენილი დანაშაულისთვის სამართალდამრღვევს 40 900 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა. თანხის გადახდის შემდეგ გემი საქართველოს საზღვაო წყლებს დატოვებს.

გურიაში სამმა არასრულწლოვანმა სკოლა გაძარცა!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიაში მომხდარი ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – მხილებულია 3 არასრულწლოვანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ფაქტზე 3 არასრულწლოვანი ამხილეს. მხილებულები არიან: 2002 წელს დაბადებული ნ.ც., 2000 წელს დაბადებული ლ.ჭ. და 2001 წელს დაბადებული ა.ჟ. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამმა არასრულწლოვანმა, მიმდინარე წლის 15 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლაში, ღამის საათებში, ფარულად შეაღწიეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ შენობაში განთავსებულ ორ ნოუთბუქს, პერსონალურ კომპიუტერს, ქსეროქსის აპარატს, მუსიკალურ ცენტრს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამივე არასრულწლოვანი მომხდარიდან მეორე დღეს ამხილეს.

დიდ დიღომში ხანძრის შედეგად დაშავდა ერთი ადამიანი, დაიწვა 1800 კვ.მ. ფართობი

დიდ დიღომში ტექნო-ლუქსის საწყობში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაშავდა ერთი ადამიანი, დაიწვა 1800 კვადრატული მეტრი ფართობი. საწყობს ცეცხლი გვიან ღამით გაუჩნდა. ხანძრის სწრაფად გავრცელებას ხელი ძლიერმა ქარმა შეუწყო. ცეცხლის ჩაქრობას 23 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ერთი ადამიანი, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რა გახდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია. დაწყებულია გამოძიება.

ძლიერი ქარის შედეგები საქართველოში

ძლიერი ქარის გამო, 2019 წლის 17 მარტის 15:00-სთ-დან, 18 მარტის 09:00-სთ-მდე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, თბილისის მასშტაბით, 68 შეტყობინება შევიდა.

უწყების ცნობით, ქარის გამო დაზიანდა: 15 შენობის სახურავი, 10 ავტომანქანა, 14 ხე, 4 სარეკლამო ბილბორდი, 1 შუქნიშანი.

ყირიმი უკრაინას დაუბრუნდება?!

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნდეს. მისი თქმით, კრემლი იმედოვნებს, რომ ახალი ხელისუფლება ყირიმზე უარს იტყვის.

„მას დიდი იმედი აქვს, რომ აირჩევენ ნებისმიერს, ოღონდ არა პოროშენკოს და რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება მუხლებზე დაუჩოქებს და ყირიმს აჩუქებს. ვერ ეღირსებიან. ჩვენ გავათავისუფლებთ ყირიმს“, – ამბობს უკრაინის პრეზიდენტი. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები 31 მარტს იმართება.

სილვიო ბერლუსკონის საქმის მთავარი მოწმე...

სილვიო ბერლუსკონის სკანდალური საქმის მთავარი მოწმე რადიაქტიული კოქტეილით მოწამლეს. წარმოშობით მაროკოელმა იმან ფადილიმ 2012 წელს იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ სასამართლოს ჩვენება მისცა და დაადასტურა, რომ ბერლუსკონის ვილაზე ორგანიზებულ ე.წ. სექს-წვეულებებზე არასრულწლოვან გოგოებს იწვევდნენ.

იგი თავად იყო ამ წვეულებების მონაწილე და ამ თემაზე წიგნის დაწერას აპირებდა. მაროკოელი მოდელი პირველ მარტს მოწამვლის სიმპტომებით მილანის კლინიკაში მოათავსეს, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. იტალიური მედიის ინფორმაციით, ექსპერტებმა ფადილის სისხლში რადიაქტიული ნივთიერებების კვალი აღმოაჩინეს. მილანის პროკურატურას ეჭვმიტანილი ამ დრომდე არ ჰყავს და მოდელის მეგობრების დაკითხვას იწყებს.

მაიკლ ჯექსონის შვილმა... თავის მოკვლა სცადა

მაიკლ ჯექსონის შვილი პერისი ჰოსპიტალიზებულია. ოჯახიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, მან თავის მოკვლა სცადა. სავარაუდოდ მან ვენები გადაიჭრა. ამჟამად პერისის მდგომარეობა სტაბილურია.

თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზი დოკუმენტურ ფილმ „Leaving Neverland“-ში მაიკლ ჯექსონის წინააღმდეგ არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის ბრალდება გახდა, სადაც უეიდ რობინსონი და ჯეიმს სეიფჩაკი ცნობილი ვარსკვლავის წინააღმდეგ ჩვენებას იძლევიან.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6861; ევრო - 3.0407;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5636
100 რუბლი - 4.1034; თურქული ლირა - 0.4910;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5841;
1000 სომხური დრამი - 5.5145.

ამინდი 19 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge